ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ბადრი ბიბილაშვილი

ანტიდასავლური განწყობები საქართველოში
(2016-2019 წ.წ.)

პოლიტიკის მეცნიერება

ნაშრომი შესრულებულია პოლიტიკის მეცნიერების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი:
მალხაზ მაცაბერიძე
პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი

თბილისი
2019

ანოტაცია

წინამდებარე ნაშრომის თემა გახლდათ ანტიდასავლური განწყობები საქართველოში. ჩვენ მოვახდინეთ განხილვა-ანალიზი გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ გამოცემაში გამოქვეყნებული სტატიებისა, რომლებიც ანტიდასავლური რიტორიკით გამოირჩეოდა. ამას გარდა საკითხის მართებულ ანალიზში დაგვეხმარა ამ თემაზე ჩატარებული კვლევები, რომელიც სხვადასხვა ორგანიზაციებმა ჩაატარეს.

თემის აქტუალობა ძალზედ მნიშვნელოვანია და მარტივად დასაბუთებულია, იმიტომ რომ ქვეყნის საგარეოპოლიტიკური კურსი პროდასავლურია, მიზნად გვაქვს დასახული ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანება. აქედან გამომდინარე აქტუალურია დავადგინოთ თუ რა იწვევს ანტიდასავლურ განწყობებს. ჩვენი მიზანი იყო დაგვედგინა მიზეზები ანტიდასავლური განწყობებისა, ხოლო ამოცანა გვეწარმოებინა კვლევა-ანალიზი ამ მიმართულებით. კვლევის საგანს წარმოადგენდა ბეჭდური პრესა, ხოლო ობიექტს კონკრეტულად გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“.

ამ კველვის ძირითადი შედეგი მდგომარეობს იმაში, რომ გამოვლინდა არაერთი, უხვი მასალა ამ გამოცემისა, რომელიც ანტიდასავლური რიტორიკით გაირჩევა. ხოლო სიახლე ამ კვლევისა მდგომარეობს შემდეგში: ჩვენ მოვახდინეთ საკმაოდ დიდი პერიოდის: 2016 -2019 წ.წ. პერიოდის ანალიზი. ცხადია აბსოლუტურად ყველა სტატიის ანალიზი თუნდაც ამ წლებისა შეუძლებელი გახლდათ, მაგრამ ის რაც გაანალიზდა მკაფიოდ ამტკიცებს ამ გამოცემის ანტიდასავლურ ხასიათს.

Annotation

Theme of the presented work was Anti-Western attitudes in Georgia, we have reviewed and analyzed the publications article in the newspaper "Georgia and the World", which distinguished with Anti-Western rhetoric. In addition, the analysis of the issue helped us to conduct research, which conducted by various organizations.

Actuality of the theme, is very important and easy to justify, because of foreign policy course is pro-western, we have aimed to joint Nato and EU. Therefore, it is important to establish what causes anti-western sentiments. Our aim is to establish purposes of Anti-Western attitudes, and tasks, held us with research-analyses. The subject of the research is printed Press, and object is newspaper "Georgia and World".

The main result of this research is, that have been revealed many materials of this publication, which distinguished with Anti-Wester rhetoric. And the news of this research is that we have done so many periods: Analyzes years of 2016-2019, obviously absolutely analyzing all stages, even in those years was impossible, but it which was analyzed , obviously approved the Anti-Western characteristics of this publications.

სარჩევი

ანოტაცია	2
შესავალი	5
თავი I	9
თავი II	28
თავი III	47
დასკვნა	51
გამოყენებული ლიტერატურა	54

შესავალი

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომის თემაა: ანტიდასავლური განწყობები საქართველოში. ჩვენ მიმოვიხილავთ სხვადასხვა კვლევებს ამ საკითხთან დაკავშირებით, განსაკუთრებით კი მიმოვიხილავთ პრესას, ორი გამოცემის მაგალითზე, სადაც უხვად გვხვდება ანტიდასავლური ხასიათის სტატიები.

ნებისმიერი ქვეყნის ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია საგარეო პოლიტიკას. ამ მხრივ სწორად შერჩეული კურსი მნიშვნელოვნად უნდა უზრუნველყოფდეს ქვეყნის უსაფრთხოებას. გამონაკლისს არ წარმოადგენს ქართული სახელმწიფოც.

საქართველო არის, როგორც ტერიტორიული, ისე მოსახლეობის რაოდენობის თვალსაზრისით, მცირე სახელმწიფო. ამ ფონზე კი მომრავლებულია უსაფრთხოების პრობლემები. ჩვენი ქვეყნის 20% ოკუპირებულია რუსეთის მიერ, რაც უცხადეს საფრთხეს წარმოადგენს ქვეყნისათვის. ამას გარდა ქვეყანა ეკონომიკური თვალსაზრისითაც მოისუსტებს. ამ გამოწვევებიდან გამომდინარე, საქართველოს საგარეო პოლიტიკის მიზანს წარმოადგენს ნატოსა და ევროკავშირში ინტეგრაცია. ეს კი შეუთავსებელია რუსეთის მიზნებთან საქართველოსა და მთლიანად კავკასიის რეგიონში.

ყოველივე ამის გამო ჩვენს მიერ დასმული საკითხის კვლევა ძალზე აქტუალურია დღეისათვის. დავადგინოთ და გამოვიკვლიოთ რა იწვევს ანტიდასავლურ განწყობებს და ვის ინტერესებშია ეს. ჩემი ღრმა რწმენით ამგვარ ხედვათა მომრავლება ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის ინტერესებშია, რადგან თუ საქართველო ნატოს წევრი გახდება, ის არამხოლოდ ჩვენზე დაკარგავს გავლენას, არამედ მთელ კავკასიაზეც, საქართველო რეგიონის ცენტრს წარმოადგენს.

აქედან გამომდინარე საკვლევი პრობლემიდან განისაზღვრა შემდეგი მიზნები:

- რა იწვევს საქართველოში ანტიდასავლურ განწყობებს;
- აქვს თუ არა ამაზე უმეტესი გავლენა პრორუსულ პროპაგანდას.

კვლევაში არსებული მიზნების თანახმად განისაზღვრა შემდეგი ამოცანები:

- ქვეყანაში არსებულ ანტიდასავლურ განწყობებზე ჩატარებული კვლევების გაცნობა ჩვენთვის საინტერესო პერიოდის შესახებ და მათი ნაშრომში ასახვა.
- გამოცემის, გაზეთ ,,საქართველო და მსოფლიოს" მთელი რიგი სტატიების განხილვა, რომლებიც შეიცავენ ანტიდასავლურ მახასიათებლებსა და პრორუსულ რიტორიკას.

ნაშრომში არსებული კვლევისათვის მოყვანილია შემდეგი საკვლევი კითხვები:

- რა არის ანტიდასავლური განწყობების მთავარი მიზეზი?
- რა გავლენა აქვს ამ ყოველივეზე პრორუსულ პროპაგანდას?
- რა მიზნებს მოიცავს პრორუსული პროპაგანდა?

მოცემული კვლევის ჰიპოთეზა ამგვარად ჩამოყალიბდა:

- ანტიდასავლური განწყობების უმთავრესი მიზეზი საქართველოში პრორუსული პროპაგანდაა.

ცვლადების ოპერაციონალიზაცია: მოცემულ კვლევაში ცვლადები შემდეგნაირად განისაზღვრა - ანტიდასავლური განწყობები, როგორც ჩვენი ნაშრომის და კვლევის უმთავრესი მიზანი.

ბეჭდური მედია ანუ პრესა - სტატიები, სადაც მკვეთრია ანტიდასავლური რიტორიკა.

პრორუსული პროპაგანდა - ანტიდასავლური განწყობების უმთავრესი მიზეზი.

არასამთავრობო ორგანიზაციები - წარმოადგენენ მნიშვნელოვან ცვლადს, რადგან სწორედ მათ მიერ ტარდება ფუნდამენტური ხასიათის კვლევები მოცემულ საკითხზე.

კვლევის თეორიულ ჩარჩოდ გამოყენებულია გავლენის სფეროებად დაყოფის თეორია. იგი თავისი არსით მე-20 საუკუნის ფენომენს წარმოადგენს. იმ

ეპოქაში საერთაშორისო ურთიერთობებში, ორი უდიდესი ზესახელმწიფო არსებობდა, ამერიკა და სსრკ, რომელთაც განაწილებული ჰქონდათ ერთმანეთში რიგი ტერიტორიები და ისინი მათი გავლენის სფეროებს წარმოადგენდნენ. თანამედროვე პირობებში საერთაშორისო წესრიგი უფრო მეტად პლურალისტური გახდა. მიუხედავად ამისა, რუსეთი კვლავ სწორედ ამ თეორიით ოპერირებს და მიიჩნევს, რომ კავკასიის რეგიონი მისი გავლენის სფეროა. ამიტომ მისთვის იმთავითვე მიუღებელია, რომ საქართველო ნატოს წევრი გახდეს, რაც დიდი ალბათობით სერიოზულად შეარყევს მის ლიდერობას ჩვენს რეგიონში.

ნაშრომში საკვლევი თემატიკიდან გამომდინარე, უპირატესობა თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგიას მიენიჭა:

1. ძირითადი მეთოდი, რასაც გამოვიყენებთ გახლავთ კონცენტ-ანალიზი ჩვენთვის მნიშვნელოვანი წყაროსი, კერძოდ, გამოცემის: ,,საქართველო და მსოფლიოს". სწორედ ამ გამოცემის ყოველ ნომერში აქტიურად ვხვდებით სტატიებს, რომლებიც გაჯერებულია დასავლეთის კრიტიკით, მისი სრული უარყოფით, რაც ემსახურება ნიჰილიზმის დანერგვას ქართულ საზოგადოებაში. ამავე სტატიებში ჩანს პრორუსული პროპაგანდაც, რაც რუსეთს მიმზიდველ და მისაბაძ ქვეყნად წარმოგვიდგენს.
2. მეორადი წყაროების ანალიზი, რომელიც თეორიულ ასპექტებზე მუშაობისას შესაბამისი მასალით ხელმძღვანელობის საშუალებას იძლევა. ჩვენს შემთხვევაში გამოვიყენებთ არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ჩატარებულ კვლევებს, ჩვენთვის საინტერესო საკითხზე, რაც დიდ დახმარებას გაგვიწევს.

ლიტერატურის მიმოხილვა - როგორც უკვე აღვნიშნეთ ვაპირებთ განვიხილოთ გამოცემის, ,,საქართველო და მსოფლიოს" სტატიები, რომლებიც მომეტებული ანტიდასავლური განწყობებით ხასიათდებიან. შედარებით ვრცლად შევეხები იმ კვლევებს, რომელსაც აღნიშნულ ნაშრომში გამოვიყენებ.

,,ანტიდასავლური პროპაგანდა - მედია-მონიტორინგის ანგარიში - 2016 წელი“:[1] ეს კვლევა წარმოადგენს მედიის განვითარების ფონდის (MDF) ერთწლიანი მონიტორინგის შედეგების ანალიზს, რომელშიც მიმოხილულია 2016 წელს ქართულ მედიაში გამოვლენილი ანტიდასავლური გზავნილები და დეზინფორმაცია. ანგარიში მოიცავს იმ კვლევის ანალიზს, რომელიც ჩატარდა 2016 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

ეს კვლევა ჩემთვის პირადად საინტერესოა იმ მხრივ, რომ ჩვენს მიერ დასმულ საკითხს პირდაპირ ეხება, სადაც განხილულია ანტიდასავლური განწყობები, საზოგადოების დამოკიდებულება ნატოსა და ევროკავშირის მიმართ და სხვა ამ თემასთან დაკავშირებული საკითხები.

ასევე გამოვიყენებთ ამავე ორგანიზაციის კვლევას, რომელიც მოიცავს 2017 წლის პერიოდს. მთლიანობაში ეს მასალები მნიშვნელოვან დახმარებას გაგვიწევენ.

კიდევ ერთი საინტერესო კვლევა, რომელიც მნიშვნელოვან დახმარებას გაგვიწევს არის ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მიერ შექმნილი პოლიტიკის დოკუმენტი - ,,კრემლის საინფორმაციო ომი საქართველოს წინააღმდეგ: პროპაგანდასთან ბრძოლის სახელმწიფო პოლიტიკის აუცილებლობა“[2]

მთლიანობაში ჩვენი ნაშრომი სამი ნაწილისაგან იქნება შემდგარი. პირველ ნაწილში მოვახდენთ უკვე არაერთხელ ხსენებული გამოცემების სტატიების ანალიზს.

მეორე ნაწილში ფართოდ განვიხილავთ ჩვენთვის საინტერესო თემაზე არსებულ კვლევებს.

მესამე ნაწილში კი ვისაუბრებთ პრორუსული პროპაგანდის წინააღმდეგ

---

[1] ,,ანტიდასავლური პროპაგანდა - მედია- მონიტორინგის ანგარიში, 2017 წ.

[2] ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი; პოლიტიკის დოკუმენტი; 22 აგვისტო, 2016 წ.

მიმართულ ბრძოლის ხერხებსა და მეთოდებზე.

ხოლო ჩვენი კვლევის სიახლე ის იქნება, რომ განვიხილავთ კონკრეტულად 2016-2019 წწ. ამ დროს დაწერილ ანტიდასავლური ხასიათის სტატიებს, კვლევებს, რომლებიც ამ პერიოდს მიეძღვნა.

თავი I

ანტიდასავლური განწყობები ქართულ პრესაში

ნაშრომის შესავალში უკვე ვისაუბრეთ იმის შესახებ, რომ ჩვენი ჰიპოთეზის დასაბუთებისთვის, კვლევის მთავარ მეთოდად ვიყენებთ კონტენტ-ანალიზს - ანუ ჩვენს შემთხვევაში სტატიათა შინაარსობრივ ანალიზს, რომელიც ანტიდასავლური რიტორიკით გამოირჩევა. ამისათვის განვიხილავთ გაზეთ ,,საქართველო და მსოფლიოს“ სტატიათა ნაწილს, რომელიც 2016-2019 წლის პერიოდიკას განეკუთვნება.

ჩემი ყურადღება მიიპყრო ამ გამოცემის, 2016 წლის, №2 ნომერში გამოქვეყნებულმა სტატიამ სათაურით: ,,ევროკავშირი “ თუ ევრაზიული კავშირი“ (გაზ. ,,საქართველო და მსოფლიო“, ავტ. გიორგი კორძაძე, 2016, №2, გვ.10).

სტატიის სათაურშივე აშკარად ჩანს, რომ ავტორი ანტიდასავლურ რიტორიკას ქადაგებს. იგი ერთგვარი არჩევანის სახით გვეკითხება, თუ რომელ ორგანიზაციაშია უმჯობესი ჩვენი ქვეყნის გაერთიანება: ,,ევროკავშირში“ თუ ,,ევრაზიულ კავშირში“? ამგვარად საკითხის დასმა უმართებულო მგონია და აშკარა ანტიდასავლური განწყობაც ჩანს ამაში. ,,ევროკავშირი“ წარმოადგენს დასავლური, განვითარებული, დემოკრატიული ქვეყნების ერთობას, საითკენაც საქართველო მიისწრაფვის, ხოლო ,,ევრაზიული კავშირი“ ეს არის პროექტი, რომლის სათავეში დგას რუსეთი და რომელსაც სურს შექმნას ერთგვარი საპირწონე ორგანიზაცია ევროკავშირის საწინააღმდეგოდ. აქედან გამომდინარე რუსეთის მიზანია გადაიბიროს რაც შეიძლება მეტი სახელმწიფო სხვადასხვა მეთოდით, მათ შორის დაშინებით, სამხედრო თუ ეკონომიკური ზემოქმედების წყალობით და ამგვარად შექმნასსაპირწონე ორგანიზაცია.

სტატიის დასაწყისში ავტორი წერს: ,,უკვე 25 წელი გავიდა, რაც საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა. ეს ოფიციალურად, თორემ სინამდვილეში...სიტყვა ,,დამოუკიდებლობა“ არასწორად მიმაჩნია და, თუ ფხიზელი თვალით შევხედავთ რეალობას, აუცილებლად დავინახავთ, რომ რუსეთი

გავცვალეთ ამერიკა-ევროპაზე და სწორედ მათი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ,,რეცეპტებით გვიწევს ცხოვრება“[გაზ. ,,საქართველო და მსოფლიო“, ავტ. გიორგი კორძაძე, 2016, №2, გვ.10].

ამ ციტატიდანაც კარგად ჩანს, რომ ავტორი პატივს არ სცემს თავის სამშობლოს და მას დესუვერენულ სუბიექტად მიიჩნევს. ამას გარდა მკაფიოდ ათიქსირებს პოზიციას, რომ საქართველო კოლონიალურ დამოკიდებულებაშია ამერიკა-ევროპასთან.ამგვარი ხედვების წარმოჩენა მოსახლეობაში ემსახურება სწორედ ანტიდასავლური განწყობების გაღრმავებას. აშკარაა ავტორის სიმპათიები რუსეთის მიმართ.

ამას გარდა ავტორი წერს, რომ ევროკავშირს დიდი მომავალი არ უწერია. ეს კარგად ჩანს რუმინეთის, ბულგარეთის, საბერძნეთის მაგალითზე. ისინი უკმაყოფილებას გამოთქვამენ თავიანთი მდგომარეობით (გაზ. ,,საქართველო და მსოფლიო“, ავტ. გიორგი კორძაძე, 2016, №2, გვ.10).

აქაც ჩანს კვლავ და კვლავ ანტიდასავლური განწყობები და საკითხში ჩაუხედავი მკითხველის მოტყუების მცდელობა. ცხადია ევროკავშირის შიგნით არის გარკვეულწილად რთული მდგომარეობა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მას დაშლა ემუქრება.

სტატიაში ევროკავშირი იმ მხრივაც არის გაკრიტიკებული, რომ მას თითქოს არ აინტერესებს საქართველო და ქვეყანაში არ განხორციელდება ინვესტიციები, რადგან პატარა ბაზარს წარმოვადგენთ. ჩემი ღრმა რწმენით ეს იმთავითვე უმართებულო მოსაზრებაა. ინვესტიციების მოსაზიდად აუცილებელია შესაბამისი სამუშაოს გაწევა პოლიტიკური და ეკონომიკური კლასებისგან. ასევე ევროკავშირი წარმოადგენს 500-მილიონიან ბაზარს, სადც შესაძლებელია გავიდეს ქართული სოფლის მეურნეობის პროდუქცია და ღვინო, ალკოჰოლური სასმელი. ამიტომ ვერ გავიზიარებ სტატიის ავტორის სულისკვეთებას, რომ ევროკავშირთან ურთიერთობა საქართველოსთვის უნაყოფო გამოდგება.

ჩემი ყურადღება მიიპყრო ასევე სტატიამ სათაურით: ,,ჩინეთი ამერიკას

სანქციებით ემუქრება“ (გაზ. ,,საქართველო და მსოფლიო“, 2016 წ, №4, გვ.18).

ერთი შეხედვით, ამ სტატიის თემატიკა არ ეხმიანება ჩვენი ნაშრომის არსს, მაგრამ რეალურად ეს ასე არაა. ამ სარედაქციო ხასიათის სტატიაში, რომელიც უცხოურ წყაროებზე დაყრდნობით დაიწერა, ანტიამერიკული გზავნილი ჩანს. იგი წარმოაჩენს ამ სახელმწიფოს იმგვარად, რომ მას თავად აქვს პრობლემები და საქართველოს მსგავს პატარა, სუსტ ქვეყნებს ნამდვილად ვერ დაეხმარება.

სტატიის თანახმად, ვაშინგტონი იძულებული ხდება თავი ახალი რეალობისთვის შეამზადოს, როცა ჩინეთი დაუწესებს სანქციებს ამერიკულ კომპანიებს ვინც, ტაივანს იარაღს აწვდიდა. მოვიყვანოთ ციტატა: ,,ჩინეთის ბოლოდროინდელი მუქარა, რომ ის სანქციებს დააწესებს ამერიკული თავდაცვითი კომპანიების წინააღმდეგ, რომლებიც ტაივანზე ყიდიან იარაღს, არ უნდა აკვირვებდეს ამერიკელ ოფიციალურ პირებსა და კორპორაციების დირექტორებს: ვაშინგტონი ამგვარ სანქციებს თავადაც აწესებდა მრავალი წლის განმავლობაში. ის, რომ აშშ-ის მოწინააღმდეგეები მის ტაქტიკას გადაიღებდნენ, მხოლოდ დროის საკითხი იყო - განმარტავს აშშ-ის სახ. დეპარტამენტ ის ყოფილი თანამშრომელი პიტერ ჰერელი“ (გაზ. ,,საქართველო და მსოფლიო“, 2016 წ, №4, გვ.18).

ამ სტატიის სულისკვეთებაც ვფიქრობ აშკარა ანტიდასავლურია და სწორედ ამიტომ გადავწყვიტე მისი ანალიზი. გამოცემა ცდილობს ამერიკა დაგვიხატოს, როგორც არც ისე ძლიერი სახელმწიფო, რომელიც უკვე ჰეგემონობის საკმაო ნაწილს თითქოს ჩინეთს უთმობს. სტატიის არსი იმაში მდგომარეობს, რომ არამხოლოდ ამერიკას შეუძლია დაუწესოს სხვას სანქციები და დაასუსტოს ის პოლიტიკური თუ ეკონომიკური კუთხით, არამედ უკვე მასაც უპოვეს სუსტი ადგილები და ამის გამო თავდაცვით მდგომარეობაში გადასვლა მოუწევს.

საქართველოსთან მიმართებით ამ სტატიის სულისკვეთება იმიტომ არის მნიშვნელოვანი, რომ ცდილობს მკითხველს დაანახოს, ამერიკა არც ისე ძლიერია იმისათვის, რომ გვქონდეს მისი მხარდაჭერის იმედი. თითქოს ის უკვე კარგავს გლობალური სამყაროს ლიდერის პოზიციებს. აქედან გამომდინარე, ქართულ

საზოგადოებაში ითესება უნდობლობა მის მიმართ, რაც მხოლოდ რუსეთის ინტერესებს მოემსახურება.

რეალურად, ამერიკა რჩება შიდა თუ საგარეო გამოწვევების მიუხედავად გლობალური სამყაროს უპირობო ლიდერად. იგი ჩვენთვის უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ პარტნიორს წარმოადგენს. მტკიცედ უჭერს მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და სუვერენიტეტს. ამას გარდა უპირობი მხარდამჭერია საქართველოს ევროატლანტიკური მისწრაფებებისა.

ამას გარდა შეიძლება ითქვას, რომ კავკასიის რეგიონში ამერიკას საქართველოზე დიდი მოკავშირე არ ყავს. წმინდა გეოპოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე ამერიკა დაინტერესებულია შეინარჩუნოს საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური და სხვა ტიპის კავშირები. ამიტომ ამ ტიპის სტატიების გზავნილები არ უნდა მივიღოთ ჭეშმარიტებად, რადგან ისინი ემსახურებიან ჩვენს დაბნევას და დეზორიენტირებას, რაც მხოლოდ ჩრდილოელი მეზობლის ინტერესს წარმოადგენს. უნდობლობა დასავლეთისადმი კი დაგვაკარგინებს მათ მხარდაჭერას და მარტო დაგვტოვებს რუსეთთან, რაც ჩვენთვის სავალალოდ დასრულდება.

კიდევ ერთი საინტერესო და სახასიათო სტატია, სადაც აშკარად იგრძნობა პრორუსული განწყობა ავტორისა, გამოქვეყნდა კვლავ გაზეთ ,,საქართველო და მსოფლიოში“, კერძოდ: 2016 წ. №10 ნომერში. სტატია სათაურით: ,,ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გასაღები და ოკეანის გაღმიდან დაფინასებული ხლისტები“ (გაზ. ,,საქართველო და მსოფლიო“, დ. მხეიძე, 2016 წ. №10, გვ.4).

ამ სტატიის მთავარი საკითხი, რითიც ავტორი იწყებს საუბარს, მმართველი ძალის ,,ქართული ოცნების“ ლიდერის, ბიძინა ივანიშვილის დაპირებაა, რომ იგი მოახერხებდა რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზებას. ავტორი დანანებით აღნიშნავს, რომ 2012 წლიდან მოყოლებული გავიდა 4 წელი და რეალურად ამ მხრივ არაფერი შეცვლილა.

არსებითად სტატიის ავტორი მსჯელობს იმის შესახებ, რომ თუ გვსურს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, ამის გასაღები კრემლში

დევს (გაზ. ,,საქართველო და მსოფლიო“, დ. მხეიძე, 2016 წ. №10, გვ.4).

იგი ასევე აკრიტიკებს გავრცელებულ მოსაზრებას, რომლის თანახმადაც რუსეთ-საქართველოს პირველი პირების შეხვედრა ერთადერთ შემთხვევაში შეიძლება მოხდეს - თუ ჩრდილოელი მეზობელი დაიწყებს საუბარს და ზოგადად ორივე მხარის პრიორიტეტი იქნება დეოკუპაციაზე საუბარი.

ამასთან დაკავშირებით უმჯობესია მოვიტანოთ ავტორის ციტატა: ,,დავიწყოთ იქიდან, რომ პირობების წაყენება, როგორც წესი, ძლიერის პრეროგატივაა და რით არის ძლიერი საქართველო - ამერიკის შეერთებული შტატების აღშფოთების იმედით? რუსეთთან მოლაპარაკებისას წინაპირობების წაყენების უფლებას, საკუთარ თავს ევროპის ლიდერი სახელმწიფოები და თვით აშშ ვერ აძლევენ და საქართველო ვის დაჰკარგვია?“ [გაზ. ,,საქართველო და მსოფლიო“, დ. მხეიძე, 2016 წ. №10, გვ.4].

ავტორის ამ სიტყვებში იგრძნობა დაუფარავი ზიზღი საკუთარი სამშობლოს მიმართ და აშკარა პრორუსული ხასითის მსჯელობაც. შესაძლოა მას ნებსით თუ უნებლიედ არ ესმის, რომ პრაქტიკაში ძალზე რთულია იწარმოებოდეს პირდაპირი მოლაპარაკება ბირთვულ, უზარმაზარ სახელმწიფოსა და პატარა, სუსტ ქვეყანას შორის, იმ ფონზე როცა ბირთვული ქვეყანა მის მეზობელ სახელმწიფოს არ აღიარებს ტოლ-სწორ პარტნიორად და მიტაცებული აქვს მისი მიწები.

ასევე სტატიის ავტორს ძალზე ცუდი პარალელი მოჰყავს, როცა ამბობს, რომ რუსეთს წინაპირობების გარეშე სხვა დიდი ქვეყნები ესაუბრებიან და ეს რატომ არ უნდა გააკეთოს საქართველომო? აქ მკაფიო პასუხი ის დიდი ქვეყნები წონიან აქტორებს წარმოადგენენ საერთაშორისო ურთიერთობებში, აქვთ გარკვეული ძალმოსილება და მათი მოტყუება თუ გაცურება რუსეთს ძალიან გაუჭირდება. აქედან გამომდინარე პატარა, სუსტ საქართველოსთან რუსეთი არ ჩათვლის თავს პატიოსნად აწარმოოს მოლაპარაკებები. ხოლო სტატიის ავტორის სულისკვეთების გაზიარება არსებითად შეუძლებელია. რუსეთთან პირდაპირი დიალოგის გამართვის გადაწყვეტილებამდე ძალზე დიდი დაფიქრება გვმართებს. ამ შემთხვევაში

შესაძლოა დასავლელ პარტნიორებში გაჩნდეს მოსაზრება, რომ ჩენ მათი მხარდაჭერა აღარ გვჭირდება რუსეთთან ურთიერთობების პროცესში, რაც დიდი შეცდომა იქნება ქართული მხრიდან.

ჩვენ მკაფიოდ უნდა გავაცნობიეროთ, რომ უკეთეს შემთხვევაში რუსეთი გვიყერებს როგორც ,,უმცროს ძმას" და არა როგორც ტოლსწორ, სუვერენულ სახელმწიფოს. აქედან გამომდინარე წინამდებარე სტატიის სულისკვეთებას, რომ ტერიტორიული მთლიანობის გასაღები კრემლში დევს, ვერ გავიზიარებთ.

კიდევ ერთი საინტერესო სტატია, რომელიც ვფიქრობ ეხმიანება ნაშრომში დასმულ საკითხს და ჩემი ღრმა რწმენით პრორუსულობის ნიშნებს შეიცავს, გამოქვეყნდა კვლავ გაზეთ ,,საქართველო და მსოფლიოში", 2016 წლის, №21, სათაურით: ,,სანამ სოხუმ-ცხინვალის თემაც არ დახურულა" (გაზ. ,,საქართველო და მსოფლიო", დ. მხეიძე, 2016 წ. №21, გვ.9).

სტატიაში განხილულია რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის განცხადებები, რომელიც მან იმ დროისთვის საბერძნეთში ვიზიტისას გააკეთა. კერძოდ, რუმინეთში და პოლონეთში ნატოს მიერ რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვითი სისტემების განლაგებაზე ბრძანა, რომ რუსეთი ამას უპასუხოდ არ დატოვებს და ასევე თავისივე რაკეტებს დაუმიზნებს.

სტატიის ავტორი ამას ქართულ თემატიკას უკავშირებს და ამბობს, რომეს ჩვენთვის ჭკუის სასწავლებელი უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში რუსული რაკეტები მიზანში ჩვენც ამოგვიღებენ. მოვიყვანოთ ციტატა: ,, რუსეთს ვერ შევაშინებთ 26 მაისს რუსთაველზე ამერიკული ,,ბრედლი-აბრამსების" გამოყვანით და თუ აუხდა თინა მამიდას (იგულისხმება იმდროინდელი თავდაცვის მინისტრი თინა ხიდაშელი) ნანატრი და რუმინეთის მსგავსად საქართველოშიცგანალაგა ნატომ ,,პრო" (რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემები), აი მაშინ მართლაც ,,პროსკენ", ოღონდ არა აშშ-ნატოს, არამედ ქართული შინაარსის მქონე ,,პროსკენ" წავა ჩვენი საქმე. რუსეთი ტერიტორიიდან ,,ისკანდერები" და ,,კალიბრები" მიზანში ამოგვიღებენ და თბილისიდან 40 კილომეტრში დგანან და დგანან რუსული ტანკები!"

[გაზ. ,,საქართველო და მსოფლიო“, დ. მხეიძე, 2016 წ. №21, გვ.9].

აქ წარმოთქმული რეაქციონერული, ნაწილობრივ ,,სკაბრეზული“ ლექსიკით გადმოცემული მოსაზრებანი მიუთითებს ავტორის პრორუსულ განწყობილებებზე. ამავდროულად იგი ირონიულად უყურებს ჩრდილო-ატლანტიკური ორგანიზაციის შესაძლებლობებს. რუმინეთი და პოლონეთი ნატოს წევრ სახელმწიფოებს წარმოადგენენ და სარგებლობენ ორგანიზაციის კოლექტიური უსაფრთხოების შესაძლებლობებით. ხოლო საქართველოს არ აქვს ამ ეტაპზე ამის ფუფუნება, მაგრამ აუცილებელია გაგრძელდეს სვლა ნატოსკენ. სტატიის ავტორი საკითხს იმგვარად წარმოაჩენს, თითქოს ცენტრ. თუ აღმ. ევროპის ქვეყნებს რუსული აგრესიისაგან ნატოც კი ვერ იცავს, თუ მათზე თავდასხმა გადაწყვიტა ჩრდილოელმა მეზობელმა. ამ ფონზე კი საქართველოს სწრაფვა ნატოსკენ სრულ უაზრობად მიაჩნია.

ამავდროულად ანვითარებს მოსაზრებას, რომ რუსეთი არ იერთებს აფხაზეთსა და სამაჩაბლოს. აქედან გამომდინარე გვრჩება შანსი მასთან დიალოგის წარმოებისა და მოლაპარაკებების გამართვისა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის თაობაზე. რეალურად კი ეს მორიგი სატყუარაა, რუსეთი მხოლოდ იმიტომ არ იერთებს ოკუპირებულ მიწებს რომ სამომავლოდ ჩვენთან ვაჭრობისთვის სჭირდება ეს. რუსუ-ქართული ურთიერთობის 200-წლიანი ისტორია გვიმტკიცებს, რომ ამ ქვეყნის ნდობა არ შეიძლება. სწორედ დასალელი პარტნიორების იმედად უნდა ვიყოთ, რომ ადრე თუ გვიან მოუწევს რუსეთს უკანდახევა და ჩვენი ტერიტორიული მთლიანობაც აღდგება პრორუსული ხასიათის მიდგომების გაზიარება კი ნამდვილად არასასურველია. მათ უკან ჩვენთვის ეგზისტენციალური ხასიათის საშიშროება იმალება. კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ რუსეთი 300 წელზე მეტია კავკასიის რეგიონში გავლენის მქონე სახელმწიფოა. შესაბამისად ისინი აქედან თავისი ნებით არ გავლენ და არც ტერიტორიებს დაგვიბრუნებენ. უნდა გამოვიჩინოთ სტრატეგიული ხასიათის მოთმინება და დადგება ჩვენთვის ხელსაყრელი დროც, როცა აღდგება ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა.

საინტერესო სტატიაა ასევე გამოქვეყნებული გაზეთ ,,საქართველო და მსოფლიოს", 2016 წლის, №27- გამოცემაში, სათაურით: ,,ევროპა მძიმედ არის ავად", რომელიც უცხოურ წყაროებს ეყრდნობა (გაზ. ,,საქართველო და მსოფლიო", სტატია: ,,ევროპა მძიმედ არის ავად", 2016 წ. №27, გვ.20).

ერთი შეხედვით ამ სტატიის თემატიკა პირდაპირ არ ეხება საქართველოს. მიუხედავად ამისა, ნაშრომში გადმოცემული მასალით ქართული გამოცემა ცდილობს, რომ ევროკავშირში არსებულ ღრმა კრიზისზე მიგვაქცევინოს ყურადღება, რამაც შესაძლოა მკითხველზე ნეგატიური მოსაზრებანი გააჩინოს ევროკავშირთან მიმართებაში.

სტატია უშუალოდ ეხება ე. წ. ,,ბრექსითის" (დიდი ბრიტანეთის გასვლა ევროკავშირიდან) შემდგომ განვითარებულ მოვლენებს. ორგანიზაციამ გადაწყვიტა, რომ ბიუჯეტის დეფიციტთან ბრძოლაში ,,არასაკმარისი" ძალისხმევის გამოჩენის გამო დასაჯოს სანქციებით პორტუგალია და ესპანეთი. გარდა ამისა, ,,ბრექსითმა" გამოიწვია საბანკო კრიზისი იტალიაში. ორგანიზაციის მმართველ წრეებს გაუჩნდათ შიში იმისა, რომ ბრიტანეთის გასვლა ევროკავშირიდან გამოიწვევს ,,დომინოს ეფექტს" და ამას სხვა ქვეყნებიც გააკეთებენ. ბუნებრივია ყოველივე ამის საწინააღმდეგოდ ისინი ცდილობენ გაატარონ სხვადასხვა ტიპის ღონისძიებანი.

ჩვენი ნაშრომის თემას ამ კონკრეტული სტატიის პათოსი იმ მხრივ ეხმიანება, რომ იგი ორგანიზაციაში მიმდინარე პროცესებს იმგვარად წარმოაჩენს, რომ თითქოს ეს დასასრულის დასაწყისია. ყოველივე კი რეალურად გადაჭარბებული აღმოჩნდა. მეტიც, ორგანიზაციიდან ბრიტანეთის გასვლის პროცესი გაჭინაურდა. დღესდღეობით იმგვარი ვითარება შეიქმნა, რომ ბრიტანელები შესაძლოა ნანობენ კიდეც ამ ტიპის გადაწყვეტილება რომ მიიღეს.

ამ შემთხვევაში ჩემი მსჯელობის მიზანი ის გახლავთ, რომ დავასაბუთო შემდეგი: რიგი კრიზისების მიუხედავად ევროკავშირი ინარჩუნებს თავის მონოლითურობას. ამიტომ ხსენებულ მცირე სტატიაში მოვლენათა იმგვარი წარმოჩინება თითქოს ეს მძლავრი დასავლური ერთობა მალე დაიშლება, ტყუილია.

თავისი არსით ეს ანტიდასავლურ განწყობებს აძლიერებს და ნოყიერ ნიადაგს უქმნის მის მიმართ სკეპტიციზმის წარმოშობას. ეს კი, როგორც უკვე არაერთხელ აღვნიშნეთ, ჩვენი პროდასავლურად განწყობილი საზოგადოების დეზორიენტაციას იწვევს.

კვლავ ანტიდასავლური რიტორიკის მქონე სტატიას ვაწყდებით ამჯერად 2017 წლის ერთ-ერთ ნომერში ისევ გამოცემაში ,,საქართველო და მსოფლიო", სათაურით: ,,რომელ ნატოზე ღნავიხართ, სოროსუმეებო..." (გაზ. ,,საქართველო და მსოფლიო", დ. მხეიძე, 2017 წ. №3, გვ.9).

სტატია დაწერილია და ეძღვნება ამერიკის ახალგაპრეზიდენტებულ დონალდ ტრამპს. სტატიის ავტორი დიდ კმაყოფილებას გამოთქვამს ამ პიროვნების საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვების გამო და მიაჩნია, რომ კონსერვატორი ტრამპი მძლავრად დაუპირისპირდება ლიბერალიზმს და ახლო კონტაქტებს დაამყარებს რუსეთის პრეზიდენტთან. ასევე იმედს გამოთქვამს იმასთან დაკავშირებით, რომ ტრამპი და პუტინი ერთად გაანადგურებენ ისლამურ ტერორიზმს.

სტატიის ანტიდასავლური ხასიათი იქ ჩანს, რომ მისი დამწერი ნატოს ლამის დასაშლელ ორგანიზაციად ასახელებს. ამის დამტკიცებისთვი კი ამბობს: ,,რომელ ნატოზე ღნავიან ესენი, რომელსაც ტრამპმა მოძველებული უწოდა და რომლის დაშლა გარდაუვალია?" (გაზ. ,,საქართველო და მსოფლიო", დ. მხეიძე, 2017 წ. №3, გვ.9).

სინამდვილეში შემდგომმა გამოსვლებმა პრეზიდენტ ტრამპისა დაგვარწმუნა, რომ იგი ნატოს დაშლას კი ემხრობოდა, არამედ რეფორმირებას. კერძოდ მან უკმაყოფილება გამოთქვა ევროპელ ლიდერებთან იმის გამო, რომ ნატოს პრაქტიკულად ფინანსურად ამერიკა ინახავს და თქვენ ვალდებული ხართ გაზარდოთ ხარჯებიო ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის ერთიან ყულაბაშიო. აქედან გამომდინარე ამ სტატიის ავტორის მცდელობა დაგვარწმუნოს ნატოს, როგორც ალიანსის სისუსტეში საფუძველშივე მარცხისთვისაა განწირული.

ამას გარდა დღეს უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ არ გამართლდა ბატონ დ. მხეიძის ვარაუდი იმასთან დაკავშირებით, რომ ტრამპი და პუტინი ერთმანეთთან დაახლოებული იქნებოდნენ, მეტიც, ამერიკამ გაამკაცრა ეკონომიკური ხასიათის სანქციები რუსეთის წინააღმდეგ, რაც სამომავლოდ მის ეკონომიკას დიდ ზიანს მიყენებს, აიძულებს ნაკლები დახარჯოს სამხედრო მიმართულებაზე და ამით რუსეთის გეოპოლიტიკური ამბიციებიც მკვეთრად შემცირდება.

ამას გარდა ხსენებულ სტატიაში ავტორი კიდევ ერთ საშიშ იდეას ავითარებს, მოლდოვის მაგალითზე, რაც რუსეთისადმი გულუბრყვილო კეთილ რწმენებს ეფუძნება. მოვიყვანოთ ამასთან დაკავშირებული ციტატა-ამონარიდი სტატიიდან: ,,ნიშანდობლივია ისიც, რომ მოლდოვის პრეზიდენტი დრესტრისპირეთში კონფლიქტის შემდეგ პირველად ეწვია რეგიონს, მოლაპარაკებები დაიწყო სეპარატისტებთან და ამის შემდეგეწვია ვლადიმერ პუტინს. მოლდოვას მსგავსად იქნებ ჩვენც მივხვდეთ, რომ გაეროს, ევროკავშირის, აშშ-ის მიერ გაკეთებულ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდამჭერ არაფრის მაქნის განცხადებებს, სჯობს აფხაზებსა და ოსებს პირდაპირ დაელაპარაკოთ?“[გაზ. ,,საქართველო და მსოფლიო“, დ. მხეიძე, 2017 წ. №3, გვ.9].

ამ ციტატით კიდევ ერთხელ მტკიცდება სტატიის ანტიდასავლური რიტორიკა და პრორუსული პროპაგანტისტული ნარატივი. ცნობილია, რომ მოლდოვის პრეზიდენტის ამ ნაბიჯმაც, დრესტრისპირეთის კონფლიქტი ამ ქვეყნის სასარგებლოდ ვერ მოაგვარა. ეს კი კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ რუსეთი თავისი ნებით არასოდეს იტყვის უარს გავლენის სფეროებზე, ამა თუ იმ სახელმწიფოს სახით, განსაკუთრებით პოსტსაბჭოთა სივრცეში.

ეს გახლავთ კიდევ ერთი ჭკუისსასწავლებელი ამბავი ჩვენთვისაც, რომ ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის ნდობა არ შეიძლება. უნდა გავაგრძელოთ კურსი დასავლეთისკენ, მაგრამ ეს მაქსიმალური სიფრთხილით უნდა გავაკეთოთ, რომ თავიდან ავირიდოთ შეძლებისდაგვარად ახალი კონფლიქტის საშიშროება

რუსეთთან.

ხსენებული სტატიის ანტიდასავლურობა იმაშიც მჟღავნდება, რომ იმ დროისთვის შემუშავებულ სახელისუფლებო ინიციატივას კონსტიტუციაში ქვეყნის ევროატლანტიკური კურსის შეუვალობის შესახებ ჩაწერაზე, იდიოტიზმად ნათლავს ავტორი. ეს ხედვა შემდგომში მართლაც იქცა საკონსტიტუციო ნორმად, რაც ემსახურება თანამედროვე ქართული სახელმწიფოს ეროვნულ ინტერესებს. მთლიანობაში ვფიქრობ კარგად დავასაბუთეთ ამ სტატიის ანტიდასავლურობა და შევეცადეთ არგუმენტირებულად გვეპასუხა და განგვეხილა აქ მოცემული მოსაზრებანი. ამ შემთხვევაშიც ერთადერთი მართებული დასკვნა ისაა, რომ ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის ნდობა დაუშვებელია.

ანტიამერიკული ხასიათის სტატია, რომელიც რიგ უცხოურ მასალებზე დაყრდნობით მომზადდა, გვხვდება გაზეთ ,,საქართველო და მსოფლიოს" 2017 წლის ნომერში, სტატია სათაურით: ,,აშშ - დემოკრატიის ციტადელი" თუ ყველაზე დიდი საფრთხე მშვიდობისათვის" (გაზ. ,,საქართველო და მსოფლიო" ავტ: ნიკა კორინთელი, 2017 წ, №10, გვ.10).

სტატიის არსი შემდეგში მდგომარეობს: ამერიკა გაცილებით დიდ საფრთხეს წარმოადგენს ვიდრე რუსეთი. ერთ-ერთი ამერიკელი მიმომხილველი დენ კოვალიკი მიიჩნევს, რომ რუსეთი ამერიკისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს. მეტიც, მეოცე საუკუნეში სსრკ ამერიკის მოკავშირე იყო და მასთან ერთად დაამარცხა ფაშიზმი. ხოლო დღესდღეობით აშშ აძლიერებს თავის შეიარაღებულ ძალებს რუსეთის საზღვრებთან.

სტატიაში ერთ-ერთ არგუმენტად იმის მტკიცებისათვის, რომ ამერიკა უფრო რეალურ საფრთხეს წარმოადგენს მსოფლიოსთვის, ვიდრე რუსეთი მოყვანილის შემდეგი მონაცემები: ამერიკას 800 სამხედრო ბაზა აქვს მსოფლიოში, რუსეთს კი პოსტსაბჭოთა სივრცის იქით - მხოლოდ ერთი - სირიაში.

ჩემი ღრმა რწმენით, ეს მტკიცებანი მთლად ლოგიკური არ გახლავთ. ამერიკის სამხედრო ბაზები ჩვეულებრივადგილობრივი ხელისუფლებების

თანხმობითაა მოწყობილი ამა თუ იმ ქვეყანაში. რაც შეეხება რუსეთის საზღვრებთან ამერიკული სამხედრო ძალების მობილიზებას, არსებითად აქ ნატოს ეგიდით მყოფ ჯარისკაცებზეა საუბარი, რომლებიც ცენტრ.-აღ. ევროპის სახელმწიფოთა უსაფრთხოებას იცავენ რუსეთისგან.

ასევე სტატიაში მოყვანილია XIX-XX სს-ების სამხედრო აგრესიათა შემთხვევები, სადაც ამერიკა დამპყრობელ ძალადაა მოხსენიებული. აქ ვგონებ ერთგვარ თავისებურ ისტორიულ მოვლენათა ინტერპრეტაციებთან გვაქვს საქმე.

წინა გვერდებზე მოცემული სტატიების განხილვის დარად აქაც კვლავ იგივე ტენდენციები შეინიშნება. ანუ სახეზეა ანტიდასავლური რიტორიკა და ეს პრორუსული განწყობებითაა ნასაზრდოები.

ამერიკა წარმოადგენს გლობალური სამყაროს ლიდერ ქვეყანას, რომელიც გამოირჩევა ეკონომიკური სიძლიერით, დემოკრატიის მაღალი ხარისხით.ამ მახასიათებელთა გამო ის ჩვენი სტრატეგიულ პარტნიორი და მოკავშირეა. გარდა ამისა უდიდესი და უძლიერესი მხარდამჭერი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა.

გაზეთ ,,საქართველო და მსოფლიოს“ 2017 წლის ერთ-ერთ ნომერში გამოქვეყნდა სტატია, სათაურით: ,,ლონდონის თავზე ჯიჰადის დროშა ფრიალებს“ (გაზ. ,,საქართველო და მსოფლიო“ ავტ: ლუკა ნემსაძე, 2017 წ, №12, გვ.4).

სტატიაში განხილულია, 2017 წლის 22 მარტს მომხდარი ტერაქტი ლონდონის ვენსმინსტერის ხიდზე, როდესაც ტერორისტი ავტომობილით უამრავ ადამიანს დაეჯახა, დაიღუპა 4 და დაშავდა 40 ადამიანი.

სტატიის არსი იმაში მდგომარეობს, რომ იგი ამტკიცებს დიდი ბრიტანეთი ისლამური ტერორიზმისგან მისმა სანაქებო დაზვერვამაც კი ვერ იხსნა. ამით ცდილობენ დასავლეთის უძლურებას გაუსვან ხაზი, რომელსაც ისლამი ნელ-ნელა იპყრობს. ნაწილობრივ უნდა ითქვას, რომ ამ რელიგიას აქვს გარკვეული გავლენა ევროპაში, თუმცა არ შეიძლება ამ ყველაფრის გაზვიადება. ამგვარი ტიპის სტატიების მომრავლება კვლავ აძლიერებს ანტიდასავლურ განწყობებს, რადგან ეს ქართველ

ხალხს უჩენს განცდას, რომ დასავლეთი თუ ვერ ახერხებს თავისი თავის დაცვას, მით უფრო ის ვერც სხვებს დაეხმარება, მათ შორის საქართველოს.

გაზეთ ,,საქართველო და მსოფლიოს“ კიდევ ერთ ნომერში გამოქვეყნდა საინტერესო სტატია სათაურით: ,,გვინდა თუ არა ნატო და ევროკავშირი“ (გაზ. ,,საქართველო და მსოფლიო“ ავტ: ცისანა ფოცხვერაშვილი, 2017 წ, №13, გვ.16).

ეს სტატიაც თავისი არსით ანტიდასავლურ რიტორიკას ქადაგებს. მისი ავტორი ქვეყნის ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანების წინააღმდეგ გამოდის. მოვიყვანოთ ციტატა, რომლითაც ეს სტატია იწყება: ,,გვინდა თუ არა ნატო? - ამ კითხვაზე ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ვუპასუხოთ - არა! ნატო არის აგრესიული სამხედრო ბლოკი, რომელმაც ყველა ქვეყანა, რომლებშიც კი ფეხი დადგა, დაშალა და დაანგრია, მოსახლეობა გაჟლიტა. მაგალითად იუგოსლავიაც კმარა. ეს აყვავებული ქვეყანა ჩრდილო-ატლანტიკურმა ალიანსმა რამდენიმე ნაწილად დაშალა. აღდგომის დღესასწაულზე ბომბავდა, თან ცინიკურად ულოცავდა. არაბული ქვეყნები - ლიბია, ეგვიპტე, ერაყი და ა. შ.ქვების გროვად და ადამიანთა სასაკლაოდ აქცია...მაშ, რისთვის გვჭირდება ნატო?! (გაზ. ,,საქართველო და მსოფლიო“ ავტ: ცისანა ფოცხვერაშვილი, 2017 წ, №13, გვ.16).

ამ შესავლიდანაც ჩანს სტატიის ანტიდასავლური რიტორიკა. წერილის ავტორი ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის მიერ განხორციელებულ ოპერაციებს აშკარად, განზრახ მუქ ფერებში ხედავს, რაც პრორუსული განწყობილების შედეგი უნდა იყოს.

პატარა საქართველოს ძალზე მძიმე გამოცდილება აქვს რუსეთთან ურთიერთობის. აქედან გამომდინარე, მასთან პირისპირ დიალოგის გამართვა ისე, რომ წინასწარ უარი ვთქვათ ნატოში წევრობაზე და ზოგადად დასავლეთის მხარდაჭერაზე, ჩვენთვის დამღუპველი იქნება.

ავტორის თქმით, ,,საქართველოს არ სჭირდება არც ნატო და არც ევროკავშირი, საქართველოს სჭირდება ერთადერთი რამ - ნეიტრალიტეტი“ [(გაზ. ,,საქართველო და მსოფლიო“ ავტ: ცისანა ფოცხვერაშვილი, 2017 წ, №13, გვ.16].

ამ ციტატითაც მტკიცდება ავტორის პროპუსული განწყობილებანი. საქართველო ვერ იქნება ნეიტრალური თავისი გეოპოლიტიკური მდგომარეობის გამო, ეს არსებითად შეუძლებელია. აქედან გამომდინარე, ჩვენ კურსი უნდა აგვეღო რუსეთისკენ ან დასავლეთისკენ. საბედნიეროდ, ქართველი ხალხის უმეტესობის სურვილია იტეგრაცია ნატოსა და ევროკავშირში.

ნეიტრალიტეტის მინიჭება ამა თუ იმ პატარა ქვეყნისათვის ხდება დიდი სახელმწიფოების ერთობლივი თანხმობით. რუსეთი კი ამას არასოდეს დათანხმდება, რადგან მას მკაფიო გეოპოლიტიკური მიზნები აქვს საქართველოსა და ზოგადად კავკასიის რეგიონში.

სტატიის ავტორი ასევე მოგვიწოდებს, რომ მივიღოთ აზერბაიჯანისა და სომხეთის გამოცდილება. ამასთან დაკავშირებით მოვიყვანოთ ციტატა: ,,მივბაძოთ სომხეთსა და აზერბაიჯანს, ისინი არ მიილტვიან ნატოსა და ევროკავშირისკენ იმიტომ, რომ ჰყავთ ეროვნული მთავრობა, საქართველოს კი მართავენ ამერიკის ელჩი და ამერიკისგან დაფინანსებული არასამთავრობოები“ [გაზ. ,,საქართველო და მსოფლიო“ ავტ: ცისანა ფოცხვერაშვილი, 2017 წ, №13, გვ.16].

აქაც ჩანს უპატივცემულობის გამოხატვა საკუთარი სამშობლოს მიმართ და ვითარების იმგვარი წარმოჩენა, თითქოს საქართველო არასუვერენულ ქვეყანას წარმოადგენდეს. ასევე ვიტყოდი, რომ სომხეთის და აზერბაიჯანის კურსი უფრო მეტად რუსეთისკენ იმიტომაა გადახრილი ვიდრე ნატოსკენ, რომ ისინი ერთმანეთთან ,,ყარაბაღის“ კონფლიქტის გამო არიან დაპირისპირებულნი და ამით ყველაზე მეტ სარგებელს რუსეთი იღებს. ამიტომ მათი საგარეოპოლიტიკური გამოცდილების გაზიარება საქართველოსთვის მთლად მისაღები არ უნდა იყოს.

მთლიანობაში ჩვენი ნაშრომის მიზანდასახულობიდან გამომდინარე ამ სტატიამ საჭირო ანალიზის ჩატარების საშუალება მოგვცა და კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ ეს გაზეთი ინტენსიურად უწყობს ხელს ანტიდასავლური განწყობილებების გაღრმავებას ჩვენს ქვეყანაში. ამის გაზიარება და მიღება კი უმართებულოდ მიმაჩნია.

გაზეთ ,,საქართველო და მსოფლიოს“, 2017 წლის ერთ-ერთ ნომერში ვხვდებით სტატიას სათაურით: ,,ვის უფრო სჭირდება ერთმანეთი: რუსეთს საქართველო თუ საქართველოს რუსეთი?“ (გაზ. ,,საქართველო და მსოფლიო“, 2017 წ. №25, ავტორი: დავით მხეიძე, გვ.3)

ამ სტატიის სულისკვეთება პრორუსული ხასითისაა. ავტორი აქაც გამორიცხავს შესაძლებლობას, რომ საქართველო გაწევრიანდეს ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში. უფრო მეტიც, ის თვლის, რომ თუ სამომავლოდ გვსურს მივიღოთ შანსი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა, უნდა შევეშვათ ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსზე ფიქრს და პირდაპირი დიალოგი დავამყაროთ რუსეთთან. ავტორის ხედვით, 2008 წლის ომის მერე პრაქტიკულად დაიკარგა უახლოეს ხანში ტერიტორიების დაბრუნების იმედი.

ავტორის თქმით, საქართველოს ხელისუფლება კი აგრძელებს ხალხის მოტყუებას და გაბრუებას ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსზე და ევროკავშირზე საუბრით. მთლიანობაში ამ სტატიაშიც ვხედავთ ანტიდასავლურ განწყობებს. აშკარაა ავტორის მიზანი დათესოს უიმედობა მოსახლეობაში ამ მიმართულებით.

ყოველივე ეს კი ცხადია რუსეთის ინტერესებშია. შეუძლებელია ვენდოთ ჩრდილოელ მეზობელს, რადგან მისი მიზნები და ამოცანები წინააღმდეგობაში მოდის ქართული სახელმწიფოს მიზნებთან და ამოცანებთან.

გაზეთ „საქართველო და მსოფლიო“-ს 2018 წლის ერთ-ერთ ნომერში გვხვდება სტატია ძალზე საინტერესო სათაურით: “ხელისუფლებების დაბრუნება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე ფარსი იყო და აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის გარეშე ნატოში შესვლაზე აზრის ჩანერგვას ემსახურებოდა“ (გაზეთი „საქართველოს და მსოფლიო, ავტორი გიორგი გაჩეჩილაძე, 7-13 თებერვალი, 2018 წ. #4, გვ. 5).

წინამდებარე სტატიაში განვითარებულია ის მოსაზრება, რომ საქართველოს არცერთ ხელისუფალს რეალურად არ სურს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, მეტიც, ჩვენი მთავრობები თითქოს ცდილობენ ქვეყანა გახდეს ნატოს

წევრი აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის გარეშე.

სტატიის დასაწყისში ავტორი წერს: „საქართველოს ყველა ხელისუფლება (გამონაკლისია ზვიად გამსახურდიას მთავრობა), რომლებიც დასავლელი პარტნიორების მითითებებით იკვებებოდნენ და იკვებებიან, მრავალი წელია, მოსახლეობას ყურებს უჭედავენ ევროკავშირისა და ნატოზე ლაპარაკით, რომ ნატო დაგვიცავს და ნატოს დახმარებით აღვადგენთ ტერიტორიულ მთლიანობას. ამას ერთვოდა ცრუ, ილუზორული დაპირებები: „მალე შევალთ ნატოში!“ „მალე მივიღებთ მაპს!“ „მივიღეთ მაპზე უკეთესი!“ „მეტი ნატო საქართველოში“ და ა.შ. მაგრამ საშველი არც ნატოში შესვლას დაადგა და არც ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, პირიქით - 2008 წელს ავანტიურისტი სააკაშვილის უგუნური მოქმედებით აფხაზეთისა და სამაჩაბლოს რეგიონებთან ერთად, კოდორის ხეობაც დავკარგეთ და რამდენიმე სახელმწიფომ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი დამოუკიდებელ ქვეყნებად ცნო“ [გაზეთ, საქართველო და მსოფლიო“ ავტორი გიორგი გაჩეჩილაძე, 2018 წ. 7-18 თებერვალი #4, გვ. 5].

ამ ციტატიდან მკვეთრად ჩანს ავტორის მიზანმიმართული ქმედება გააღრმავოს ხსენებული გამოცემის მკითხველში ანტიდასავლური განწყობები. ჩანერგოს სკეპტიციზმი, ჩრდილოატლანტიკური ერთობის მიმართ. ყოველივე ეს კი ცხადია რუსეთის ინტერესებშია. ის ცდილობს იმის მტკიცებას რომ თითქოს ამ ორგანიზაციაში წევრობა მალე უნდა მოხდეს, რეალურად კი ნებისმიერ მოაზროვნე ადამიანს ესმის, რომ ინტეგრაცია ჩრდილო-ატლანტიკურ ერთობაში ხანგრძლივი პროცესია და არაერთი წინაღობაა გადასალახი. ქართველ საზოგადოება ამისათვის მზად უნდა იყოს და დაბრკოლებებს არ უნდა შეუშინდეს.

ამას გარდა სტატიაში განვითარებულია შემდეგი მოსაზრება: „საქართველომ ნატოში წევრობის სანაცვლოდ დროებით უარი უნდა თქვას თავის დაკარგულ მიწებზე. სტატიის ავტორი სწორედ ამ იდეის წინ წამოწევაში ადანაშაულებს ქართველ პოლიტიკოსებს და საზოგადოებრივ ჯგუფებს. მეტიც იგი ამბობს, რომ ნატოს წევრობა ვერ მოგვიტანს ტერიტორიულ მთლიანობას, არამედ აქ მათი

ბაზების განლაგება რუსეთთან ომს გამოიწვევს (გაზეთ, საქართველო და მსოფლიო“ ავტორი გიორგი გაჩეჩილაძე, 2018 წ. 7-18 თებერვალი #4, გვ. 5).

სინამდვილეში ზემოთხსენებული იდეა მხოლოდ რიგი ანალიტიკოსების მოსაზრებად რჩება და ის სერიოზულად არ განხილულა სამთავრობო დონეზე. ამიტომ ამგვარი საშიში იდეების გავრცელება არ ემსახურება საქართველოს ნაციონალურ ინტერესებს. არცერთი შეგნებული და მოაზროვნე ქართველი არ გაიზიარებს ამ იდეის სულისკვეთებას, არ იტყვის უარს დაკარგულ მიწებზე, თუნდაც ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში წევრობის სანაცვლოდ. მეტიც, ჩემი ღრმა რწმენით ვერავინ გაბედავს, ვერცერთი ხელისუფალი ოფიციალურ დონეზე დასვას განსახიველად ეს იდეა. აქედან გამომდინარე ამ სტატიის სულისკვეთებაც აშკარად ანტიდასავლურია.

რუსეთისა და პუტინის ქება-ხოტბის შესახებ ემსახურება სტატია რომელიც გამოქვეყნდა გაზეთ „საქართველო და მსოფლისო“ 2018 წლის ერთ-ერთ ნომერში, სათაურით: „მაკულატურა, რომელიც სულ უფრო გვაშორებს სოხუმსა და ცხინვალს“ (გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“, 2018 წ. #9, ავტორი დავით მხეიძე, გვ. 6).

სტატიის თემა გახლავთ ვლადიმერ პუტინის ყოველწლიური ფედერალური გამოსვლა, რამაც დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. სტატიის ავტორის თქმით, მსოფლიოს ახალი სცენარი აღარ დაიწერება მხოლოდ ამერიკის მიერ, არამედ ამ პროცესში გლობალური თვალსაზრისით გაიზარდა რუსეთის როლიც (გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“, დ. მხეიძე, 2017 წ. #9, გვ. 6).

სტატიის ავტორი ცდილობს მოახდინოს რუსეთის იდეალიზება, იმის დანახვა რომ ამერიკა კარგავს უპირობო მართვის სადავეებს და ძალაუფლების გაყოფა რუსეთთან მოუწევს. ეს მიზნად ისახავს კვლავ ჩვენი საზოგადოების დეზორიენტირებას რათა მათ რწმენა დაეკარგოთ ამერიკის სიძლიერის დასავლური ინსტიტუტებისა და ამგვარად მოექცნენ პრორუსული გავლენის ქვეშ.

კვლავ ჩანს ავტორის ირონიული დამოკიდებულება საქართველოს მიმართ, რასაც ეს ციტატა ამტკიცებს: „ცხადია, რომ ვლადიმერ პუტინის მიმართვა აშშ-ის

სატელიტი სახელმწიფოებისთვის არის განკუთვნილი, აი, ზუსტად ისეთებისთვის, როგორიც საქართველოა“ [გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“, დ. მხეიძე, 2018 წ. #9, გვ. 6].

ავტორს რიტორიკასა და ლექსიკაზე ეტყობა, რომ მას არ გააჩნია ელემენტარული პატივისცემა თავისი ერისა და ქვეყნისა. აშკარაა მისი კეთილგანწყობა ჩვენდამი მტრულად განწყობილი რუსეთის მიმართ. ეს სტატიაც თავის სულისკვეთებით ანტიდასავლური განწყობების მატარებელია. შესაბამისად, იგი გვაძლევს საშუალებას დავასაბუთოთ ჩვენი ჰიპოთეზა.

საინტერესო სტატია გამოქვეყნდა გაზეთ „საქართველო და მსოფლიოში“ 2019 წელს, ერთ-ერთ ნომერში, რომლის სათაური გახლავთ შემდეგი: „რატომ არის ევროკავშირის დაშლა გარდაუვალი“ (2017 წ. #18, გვ. 3, ავტორი გიორგი გაჩეჩილაძე)

სტატიის ძირითადი თემა გახლავთ ახლახანს ჩატარებული არჩევნები ევროკავშირში. ამ სტატიის თანახმად, ავტორს აქვს მოლოდინი, რომ ეს არჩევნები ძირეულად შეცვლიდა ევროკავშირში ძალთა ბალანსს. მოვიყვანოთ რამდენიმე მნიშვნლოვანი ციტატა: „ევროპარლამენტის არჩევნებში არის რეალური საფრთხე იმისა, რომ გაერთიანებულმა მემარჯვენეებმა და მათმა მოკავშირეებმა მოიპოვონ იმდენი ადგილი, რამდენიც შესაძლებლობას მისცემს მათ, დაბლოკონ ევროგაერთიანებების მთავარი საკანონმდებლო და წარმომადგენლობით ორგანოს ნებისმიერი გადაწყვეტილება. აქედან გამომდინარეობს დასკვნა: თუ მემარჯვენეები ჩამოაყალიბებენ სერიოზულ კოალიციას (ამის შანსი ყოველწლიურად მატულობს), სიდიდით მესამედს მაინც, მაშინ ამჟამინდელი პირობით ერთიანი ევროკავშირი ისე გარდაიქმნება, რომ ვერავინ ვეღარ იცნობს...“ [გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“, ავტორი გიორგი გაჩეჩილაძე, 2019 წ. #128, გვ. 3].

ამგვარი მსჯელობა მიზნად ისახავს ევროკავშირის შიგნით არსებული ვითარების უკიდურესად დაძაბულად დახატვას, ასევე ყოველივე ამგვარად წარმოაჩენს, რომ ევორკავშირი ლამის დაშლის პირასაა და გაუგებარია თითქოს თუ

რატომ უნდა მიისწრაფოდეს მისკენ საქართველო. ამას გარდა აქცენტი კეთდება იმაზე, რომ იცვლება ევროპის იდეოლოგიური რუკა, უფრო და უფრო ძლიერდებიან მემარჯვენეები და ფესვს იდგამს ევროპაში პოპულისტური ძალები, რომლებიც კარგ ურთიერთობაში არიან რუსეთის მმართველ წრეებთან. ჩრდილო მეზობელს სწორედ ამგვარი ძალების მოსვლა სურთ ევროპულ ქვეყნებში, რაც კიდევ უფრო გაზრდის რუსეთის გავლენას ბებერ კონტინენტზე.

ამას გარდა სტატიაში აქცენტი კეთდება იმაზე, რომ ევორკავშირში ჩავარდა რეფერენდუმი ერთიან კონსტიტუციაზე, მიუხედავად ამისა, ორგანიზაცია მაინც რჩება მძლავრ მონოლითად. მას ვერაფერი დააკლო თვით დიდი ბრიტანეთის გასვლამ. მთლიანობაში ხსენებული სტატიაც მიმაჩნია ანტიდასავლური განწყობების გამოვლინებად, რადგან ამ ორგანიზაციის გამოწვევათა იმგვარი ანალიზი თითქოს ის დაშლის პირასაა სწორედ რუსეთის ინტერესებშია. მას არ სურს თავისი გავლენები დაკარგოს უკრაინაში, მოლდოვაში და ჩვენს ქვეყანაში. ხოლო ამ სახელმწიფოთა იმედები მომავალი განვითარებისა და უსაფრთხოების მოპოვებისკენ მიპყრობილია სწორედ ევროგაეთიანებისაკენ.

ჩვენ უკვე არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ ამგვარი სკეპტიკური ხასიათის სტატიები ევროპის, მისი ინსტიტუტების შესახებ, დიდად აყენებს ზიანს ჩვენში არსებულ პროდასავლურ იდეებს. თუმცა ისიც ცხადია რომ უნდა ვიყოთ რეალისტები და ვაღიაროთ ევროკავშირის ნამდვილად აქვს პრობლემები და გამომწვევები, მაგრამ ზედმეტია საუბარი იმის შესახებ იგი მალე დაიშლება.

აუცილებელი ღონისძიებად მიმაჩნია ის, რომ სამთავრობო ინსტიტუტებმა საზოგადო ორგანიზაციებმა სწორი მართებული ინფორმაცია მიაწოდოს ევროკავშირში მიმდინარე პროცესების შესახებ ქართველ ხალხს. რითაც არ მივცემთ ანტიდასავლური განწყობების გამავრცელებელ გამოცემებს თუ ჯგუფებს იმის საშუალებას, რომ ადამიანები მოატყუონ.

კვლავ უნდა შევეხოთ და გავაანალიზოთ ძალზე საინტერესო სტატია, რომელიც ჩვენთვის სიანტერესო გამოცემაში, გაზეთ „საქართველო და

მსოფლიოში“ დაიბეჭდა, რომლის სათაურია: „ევროპის დაისი. 5 მიზეზი, რატომ არის ევროკავშირის დაშლა გარდაუვალი“ (გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“, 2019 წ. #9, გვ. 10 ავტორი რუსლან ხუბიევი).

ყველამ ვიცით, რომ ევროკავშირი გლობალურ ევროპულ გაერთიანებას წარმოადგენს, რომელიც თავის დროზე საერთო ევროპული პრობლემების მოსაგვარებლად შეიქმნა.

თავდაპირველად გაერთიანებამ სასიკეთო შედეგები მოიტანა, თუმცა დღესდღეობით ჩანს, რომ ორგანიზაცია უსისტემოდ გაერთიანდა.

სტატიის ავტორი იმის დასასაბუთებლად თუ რა დაშლის ორგანიზაციას გამოყოფს რამდენიმე მიზეზს. ევროკავშირ-ამერიკის ურთიერთობა, შიგა ეკონომიკა, მიგრანტები და გლობალური ავანტიურა.

ამ სტატიის სულისკვეთებაც თავისი არსით ანტიდასავლურია. გადაჭარბებულად არის შეფასებული ორგანიზაციის კრიზისული ვითარება. სწორედ ამგვარი სტატიების მომრავლება უწყობს ხელს პრორუსულ რიტორიკის ზრდას და დასავლეთის მიმართ ნეგატიური განწყობილებების გაჩენას.

ჩვენ უკვე არაერთი სტატია განვიხილეთ, რის საფუძველზე უნდა დავასკვნათ, რომ პრორუსული პროპაგანდის ზემოქმედებით წარმოშობილ ანტიდასავლური განწყობილებანი მომრავლებულია ჩვენს ქვეყანაში, რის გამოც ჩვენი საზოგადოება ერთ ნაწილში გაზრდილია სკეპტიციზმი ევროკავშირის, ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის დასავლეთის მიმართ. ყოველივე ამის აღმოსაფხვრელად კი აუცილებელია მთელი რიგი ნაბიჯების გადადგმა.

თავი II

კვლევები ანტიდასავლური პროპაგანდის შესახებ საქართველოში

ამ თავში მიმოვიხილავთ იმ კვლევებს, რომლებიც ჩვენთვის საინტერესო პერიოდს ეხება და გავაანალიზებთ იმ მიმართულებებს, რაც იწვევს საბოლოოდ ანტიდასავლურ განწყობებს ჩვენს ქვეყანაში.

მედიის განვითარების ფონდმა (MDF) ჩაატარა კვლევა, რომელიც მოიცავს პერიოდს 2016 წ. 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, სადაც განხილულია ქართულ მედიაში გამოვლენილი ანტიდასავლური გზავნილები, დეზინფორმაციები, რომელთაც ავრცელებდნენ როგორც მედია-საშუალებები, ისე სხვა წყაროები - პოლიტიკური კლასი, სასულიერო პირები, სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენლები. ამ კვლევის ანალიზი მოგვცემს იმის საშუალებას, რომ დავასაბუთოთ ჩვენს მიერ წარმოდგენილი ჰიპოთეზა. კვლევაში მოცემულია თემატური წყაროები, მეთოდოლოგია, ასევე მიმოხილულია პროპაგანდის მეთოდები და რუსული წყაროები (ანტიდასავლური პროპაგანდა - მედიის მონიტორინგის ანგარიში, 2016 წ.).

კვლევის თანახმად, სულ გაანალიზდა 1258 ანტიდასავლური ხასიათის გზავნილი. უმეტესი წილი ეხებოდა იდენტობასთან, ადამიანის უფლებებთან და ღირებულებებთან დაკავშირებულ საკითხებს. უმეტესი გზავნილები უარყოფითი კუთხით გაზრდილი იყო ნატოს წინააღმდეგ, რასაც მოსდევდა, ზოგადად დასავლეთის წინააღმდეგ გაკეთებული განცხადებები, ამის შემდეგ მოდიოდა ანტიამერიკული და შემდგომ ევროკავშირის საწინააღმდეგო განცხადებები. ბოლო ადგილზე კი განთავსდა ადგილობრივი არასამთავრობოების და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების წინააღმდეგ გაკეთებული განცხადებები (ანტიდასავლური პროპაგანდა - მედიის მონიტორინგის ანგარიში, 2016 წ. გვ.13).

კვლევის ზემოხსენებული მიმართულებანი სავსებით ლოგიკურად და ბუნებრივად არის გამოკვეთილი. საქართველოს მიზანს წარმოადგენს ნატოსა და

ევროკავშირის წევრობა. ასევე ამერიკა არის ჩვენი ყველაზე დიდი და მძლავრი, სტრატეგიული მოკავშირე, რომელიც მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, ჩვენი ქვეყნის ევროინტეგრაციის კურსს. ამიტომ ნამდვილად უმნიშვნელოვანესია ინტენსიურად ვიკვლიოთ სწორედ მათ მიმართ ქართული საზოგადოების დამოკიდებულებანი, ის, თუ რა იწვევს ამ დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას, რა ინფორმაციებს იღებს ქართველი ხალხი მათ შესახებ, რა წყაროებზე დაყრდნობილს და ხომ არ ურევია მათ საწინააღმდეგო გზავნილებში რუსული პროპაგანდა.

იდენტობისა და ღირებულებით ნაწილში, კვლავ მკვეთრად გამოიხატა მოსაზრება, რომ დასავლეთი ცდილობს თავს მოგვახვიოს ჰომოსექსუალიზმი, მიუღებელი ღირებულებები. ამას გარდა, ებრძვის თვითმყოფადობას, ტრადიციებს, მართლმადიდებლობას, ასევე თავს გვახვევს ინცესტს, პედოფილიას, ზოოფილიას, გარყვნილი ცხოვრების წესს, ებრძვის ოჯახურ ინსტიტუტს. ამავდროულად მართლმადიდებელი რუსეთი დასავლეთის საპირწონედ იყო წარმოდგენილი (ანტიდასავლური პროპაგანდა - მედიის მონიტორინგის ანგარიში, 2016 წ.გვ.14)

ნატოსთან მიმართებით, ყველაზე ხშირად აღვივებდნენ სკეპტიციზმს, რომ ნატოს საქართველო არ სჭირდება, რომ მისკენ სწრაფვა დიდი უტოპიაა, ამას გარდა ნატო წარმოდგენილი იყო საფრთხედ, რის გამოც საქართველო საბოლოოდ დაკარგავდა აფხაზეთსა და სამაჩაბლოს. ამის საპირწონედ ფიგურირებდა უბლოკო სტატუსისა და ნეიტრალიტეტის იდეა. ასევე საერთაშორისო მისიებში ქართველი ჯარისკაცების მონაწილეობა წარმოდგენილი იყო, როგორც არა კოლექტიურ უსაფრთხოებაში შეტანილი წვლილი, არამედ სხვათათვის ხარკი, ასევე მკვიდრედებოდა აზრი, რომ ნატო ვერ დაგვიცავს და მასში ინტეგრაცია გამოიწვევდა თურქეთის მიერ საქართველოს ინტერვენციას (ანტიდასავლური პროპაგანდა - მედიის მონიტორინგის ანგარიში, 2016 გვ.15)

მართებულად მიმაჩნია გავშალოთ მსჯელობა, იდენტობასა და ნატოსთან დაკავშირებით. დასავლეთი გვირჩევს, რომ განვავითაროთ დემოკრატიული

პროცესი, გავამყაროთ ადამიანის უფლებების დაცვა. ხოლო სიცრუედ მიმაჩნია ის, რომ თითქოს ისინი თავს გვახვევენ ჩვენთვის მიუღებელ ღირებულებებს. მათ კარგად იციან, რომ მართლმადიდებლობა წარმოადგენს ყოველი ქართველისათვის უმაღლესი მნიშვნელობის სულიერ საუნჯეს და გამომდინარე დასავლური ტოლერანტობიდან რელიგიების მიმართ არ მიმაჩნია სწორად ის, რომ თითქოს ისინი ებრძვიან ჩვენს სარწმუნოებას ან გვახვევენ ჰომოსექსუალიზმს. ეს საკითხი ღიად აქამდე არასოდეს დასმულა. აქედან გამომდინარე შეუძლებელია ისინი მართებულ მოსაზრებებად მივიჩნიოთ. დასავლეთი ინტეგრაციის სანაცვლოდ იმას მოითხოვს ჩვენგან, რომ განუხრელად იყოს დაცული ყოველი ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები.

ნატოს მიმართ გამოვლენილი უარყოფითი განწყობილებანი იმთავითვე პრორუსულ ხასიათს ატარებს. სწორედ რუსეთია დაინტერესებული იმით, რომ საქართველო არ გახდეს ამ ორგანიზაციის წევრი, რის მერეც ჩრდილოელი მეზობელი დაკარგავს თავის გავლენას კავკასიის რეგიონში. ასევე სიცრუედ უნდა მივიჩნიოთ ისიც, რომ ნატოს წევრობა თურქეთის ინტერვენციას გამოიწვევს, რადგან ამ სახელმწიფოს აურაცხელი ოდენობის შიდა თუ გარე პრობლემა აქვს.

დასავლეთის მიმართ განწყობილებებში შემდეგი ტენდენციები გამოიკვეთა: გაჩნდა აზრი, რომ საქართველო არ იყო დამოუკიდებელი მოთამაშე, მას რეალურად დასავლური სახელმწიფოები მართავდნენ. მის საპირწონედ კვლავ რუსეთი იყო წარმოდგენილი. ასევე მიიჩნეოდა, რომ დასავლეთი ხელს უშლიდა მართლმსაჯულების განხორციელებას ნაციონალური მოძრაობის ხელისუფალთა წარმომადგენლების მიმართ (ანტიდასავლური პროპაგანდა - მედიის მონიტორინგის ანგარიში, 2016 გვ.15)

ზემოთხსენებული მოსაზრებანი მცდარად უნდა მივიჩნიოთ. საქართველო სუვერენული სახელმწიფოა და ეს აღიარებულია მსოფლიოს უმეტეს სახელმწიფოთა მიერ. ხოლო დასავლეთი ჩვენთვის წარმოადგენს უმაღლესი განვითარების მქონე ცივილიზაციას, ვისთანაც უფრო მეტი საერთო გვაქვს ვიდრე

განსხვავება. ჩვენი წინაპრებიც მიისწრაფოდნენ დასავლეთისკენ, ცდილობდნენ მასთან კონტაქტების დამყარებას. სიცრუეა ისიც, თითქოს დასავლეთი ეწინააღმდეგება ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენელთა მიმართ სამართლიანობის აღსრულებას. უბრალოდ ისინი გვირჩევენ, რომ ყოველივე სამართლებრივად წარიმართოს და დევნა არ დაემსგავსოს უსამართლოდ განხორციელებულს, პოლიტიკური ხასიათისას.

საინტერესოა ამ კვლევაში გავეცნოთ წარმოჩენილ მოსაზრებებს ამერიკის მიმართ. აქ გამოყვეს შემდეგი სახის ტენდენციები: ეს ქვეყანა უმეტესწილ წარმოჩენილი იყო კონფლიქტების, ფერადი რევოლუციების, გადატრიალებების ინსპირატორად. ასევე მკვიდრდებოდა მოსაზრება, რომ ამერიკა ვერ დაგვიცავდა. იგი ტურიზმის წამახალისებლად იყო მიჩნეული. ასევე მიიჩნეოდა, რომ ეს ქვეყანაც ოკუპანტია და ასე შემდეგ (ანტიდასავლური პროპაგანდა - მედიის მონიტორინგის ანგარიში, 2016 გვ.16).

რეალურად ამერიკის შეერთებული შტატები წარმოადგენს საქართველოს სტრატეგიულ მოკავშირეს, რომელიც ყველაზე მძლავრი პოლიტიკური და ეკონომიკური ხასიათის მხარდამჭერია ჩვენი ქვეყნისა. იგი აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, მნიშვნელოვან დახმარებას გვიწევს სამხედროების მომზადებაში, ასევე არაერთი მიმართულებით გვეხმარება ფინანსებითაც. 2008 წლის აგვისტოს ომის მერე რუსეთთან, ამერიკისაგან მილიარდიანი ტრანში მივიღეთ. სწორედ ეს ქვეყანა უჭერს მხარს ყველაზე მეტად საქართველოს გაწევრიანებას ნატოსა და ევროკავშირში. აქედან გამომდინარე კვლევაში დაფიქსირებული მოსაზრებანი აშკარად პრორუსული გავლენის შედეგია, რადგან ქართულ-დასავლური ურთიერთობების გაღმავება სწორედ კრემლის ინტერესში არ შედის.

ამ კვლევაში საინტერესო შედეგები დადგა ევროკავშირისა და ევროპის ქვეყნების მიმართ. ამ მხრივაც გამოვყოთ ძირითადი ასპექტები, რაც ჩვენი ნაშრომის მიზანდასახულობასაც წაადგება. დომინანტ მიმართულებად გამოიკვეთა ევროსკეპტიციზმის გაღვივება. წინ წამოიწია მოსაზრებამ, რომ საქართველო

ევროკავშირთან ვერც ვიზალიბერალიზაციას მიაღწევდა, ვერც სამომავლოდ გაწევრიანებას, რადგან თავად ორგანიზაცია დაიშლებოდა. ამას გარდა გაჩნდა მოსაზრება, რომ ასოცირების ხელშეკრულება დაკავშირებული იყო მიგრანტების მიღების ვალდებულებასთან. ევროკავშირი ვერ გაგვიწევდა ეკონომიკურ დახმარებას, ასევე რუსული ბაზარი ევროკავშირის ბაზარზე მიმზიდველია (ანტიდასავლური პროპაგანდა - მედიის მონიტორინგის ანგარიში, 2016, გვ.17)

ზემოთხსენებული მოსაზრებანი ევროკავშირის შესახებ კვლავ პრორუსული პროპაგანდით არის ნასაზრდოები. ეს ორგანიზაცია ეტაპობრივად ხელს უწყობს ქართველ მეწარმეებს, რომ თავიანთი წარმოება ტექნოლოგიურად განავითარონ, დაუახლოვდნენ ევროპულ სტანდარტებს. ასევე მცდარია ვფიქრობ მოსაზრება იმაზე რომ რუსული ბაზარი სჯობს მის ევროპულ ანალოგს. რუსეთი ხშირად გვიკეტავს ბაზარს, გვადებს ემბარგოს სწორედ იმის გამო, რომ ჩვენზე სურს თავისი პოლიტიკური ზეგავლენის ზრდა. ანუ რეალურად თუ არ ვეცდებით ჩვენ რუსეთზე ჩვენი ეკონომიკური თუ სხვა სახის დამოკიდებულება შევამციროთ, ძალზე რთული იქნება ქვეყნის რეალურ განვითარებაზე საუბარი. ასევე რეალურად ევროკავშირის ბაზარი 500-მილიონიანი მოცულობისაა, რაც ნამდვილად აღემატება რუსეთის 150-მილიონიან ბაზარს.

კვლევაში საინტერესო მოსაზრებანი დაფიქსირდა არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ. გამოვყოთ ძირითადი მათგანი: მოწინავე მოსაზრება იყო ის, რომ ქართული არასამთავრობო ორგანიზაციები საკუთარი ქვეყნის ინტერესებს ფულზე ყიდიან, ასევე დაფიქსირდა რომ ისინი სხვა ქვეყნის ინტერესებს იცავენ, ფინანსდებიან უცხოეთიდან; გაისმა აზრი რომ ამგვარ ორგანიზაციებს საქმიანობა უნდა აეკრძალოს, რაც მტკიცდებოდა რუსული სახელმწიფოს პრაქტიკით, სადაც მათი საქმიანობა აკრძალულია. მათი წევრები სახელმწიფო გადატრიალებების ინსპირატორებად მიიჩნეოდა (ანტიდასავლური პროპაგანდა - მედიის მონიტორინგის ანგარიში, 2016, გვ.17)

არასამთავრობო ორგანიზაციების როლი თანამედროვე დემოკრატიულ

სისტემებში განუზომლად დიდია. ისინი უმეტესწილ იქმნებიან ნებაყოფლობითად, განსაკუთრებული ფინანსების გარეშე, იმისათვის, რომ აკონტროლონ მთავრობის საქმიანობა სხვადასხვა მიმართულებით: დემოკრატიის, სასამართლოს, ადამიანის უფლებების დაცვის მხრივ. აქედან გამომდინარე, გაუგებარია მათი შერაცხვა სახელმწიფო გადატრიალების შესაძლო წყაროდ. ამ პროცესს ხომ რეალურად საზოგადოების კრიტიკული რაოდენობის, არმიის, პოლიციის მიმხრობა სჭირდება. ამას გარდა გაუგებარია ფინანსების გამჭვირვალობაშიც ეჭვის შეტანა. ნებისმიერ ავტორიტეტულ არასამთავრობო ორგანიზაციას აქვს თავისი ღია, ყველასათვის ხელმისაწვდომი საინფორმაციო ხასიათის გვერდები, სადაც მის შესახებ ნებისმიერი ცნობის მიღება შეიძლება, მათ შორის მისი დაფინანსების წყაროს გაგებაც.

მთლიანობაში ჩვენ მიმოვიხილეთ ამ კვლევაში მოცემული ანტიდასავლური ხასიათის მოსაზრებანი, რომლებიც მისმა ავტორებმა გამოავლინეს რესპონდენტებში ნატოს, ევროკავშირის, ამერიკის და ზოგადად დასავლეთის მიმართ. დეტალურად გაცნობა ამ ხედვებისა გვაფიქრებინებს, რომ ეს სწორედ ჩრდილოელი მეზობლის ინტერესშია, რადგან ჩემს მიერ წამოყენებული თეზისის თანახმად, რუსეთი დასავლეთთან გეოპოლირიკურ მეტოქეობაშია ჩაბმული. შესაბამისად, მისთვის იმთავითვე მისაღებია საქართველოში ანტიდასავლური განწყობების გაღრმავება მოხდეს, რაც შეასუსტებს ჩვენს სვლას დასავლური ინსტიტუტებისაკენ, ან მეტიც, დავკარგავთ იმ მხარდაჭერას, რაც გვაქვს ამ ეტაპზე.

ამავე კვლევის თანახმად, ანტიდასავლური გზავნილების მთავარი წყაროები არიან: მედია, პოლიტიკური პარტიები, საზოგადოების წარმომადგენლები, ასევე თბილისის საკრებულოს დამოუკიდებელი წევრი, უცხო ქვეყნის ხელისუფლება, რუსი პოლიტიკოსები, ბოლო ადგილზეა ხელისუფლების წარმომადგენელთა მიერ გაკეთებული განცხადებები (ანტიდასავლური პროპაგანდა - მედიის მონიტორინგის ანგარიში, 2016, გვ.18)

ამგვარი დახარისხება უმნიშვნელოვანეს საქმედ მიმაჩნია ანტიდასავლური განწყობების ანალიზისათვის. ასეთ დროს მარტივდება შესწავლა იმისა, თუ ვინ და

რა მიზნებით ახმიანებს ამგვარ გზავნილებს, რაც შემდგომში იძლევა იმის საშუალებას, საზოგადოებამ სწორი დასკვნები გააკეთოს და უნებლიეთ არ გახდეს ანტიდასავლური პროპაგანდის მსხვერპლი.

განსაკუთრებულ აქტორად ამგვარი გზავნილების გახმიანებისა ყალიბდება მედია. ამ კონკრეტულ კვლევაში ავტორებმა გამოყვეს მედია-საშუალებები, რომლებიც ინტენსიურად აღვივებენ ანტიდასავლურ ნარატივს, დაყვეს ის ორ ჯგუფად:

1. კრემლისტური გამოცემები
2. ანტილიბერალური, ეთნონაციონალისტური

პირველში მოიაზრებენ შემდეგ მედია-საშუალებებს: ,,საქართველო და მსოფლიო“,,,საქინფორმი“, PoliTicano (ფეისბუქ გვერდი);

ხოლო მეორე ჯგუფში: ,,ობიექტივი“, ,,ალია“ ჰოლდინგი (ანტიდასავლური პროპაგანდა - მედიის მონიტორინგის ანგარიში, 2016, გვ.20)

გაზეთ ,,საქართველო და მსოფლიოს“ აქ ვრცლად არ შევეხებით, რადგან ჩვენ უკვე მისი არაერთი სტატია მიმოვიხილეთ ნაშრომის პირველ თავში.

მკვეთრი ანტიდასავლური რიტორიკით გამოირჩევა საინფორმაციო პორტალი ,,საქინფორმი“ და PoliTicano (ფეისბუქ გვერდი).

ტელევიზია ,,ობიექტივი“ კი პარტია ,,პატრიოტთა ალიანსის“ პოზიციებს ახმოვანებს უმეტესწილად. ეს პოლიტიკური ძალა გამოირჩევა სპეციფიკური დამოკიდებულებით საქართველოს საევროინტეგრაციო გეგმებთან დაკავშირებით.

აქედან გამომდინარე, ამგვარი მედიასაშუალებები ნებსით თუ უნებლიეთ პრორუსულ პროპაგანდას უჭერენ მხარს, რითიც ქართული საზოგადოების პროდასავლური ნაწილის დეზორიენტირებას ახდენენ. ცხადია ამგვარი რიტორიკის მიმართ აუცილებელია პოლიტიკურმა კლასმა, საზოგადოებრივმა ჯგუფებმა შესაბამისი ოპონირების ხერხები და მეთოდები უნდა გამოიმუშაონ.

ხსენებული კვლევის ავტორებმა ასევე დაამუშავეს საკითხი პროპაგანდის მეთოდების შესახებ. ამას გარდა მათი დაკვირვების საგანი იყო, შემთხვევითი

შერჩევის პრინციპით სოც. მედიაში გავრცელებული ინფორმაციები. უმეტესად ასეთ დროს დეზინფორმაციის წყარო თავად მედია იყო და ინფორმაცია ერთდროულად რამდენიმე არხით გადაიცემოდა.

ასევე კვლევაში აღნიშნავენ, რომ მედია ძირითადად დეზინფორმაციული ინფორმაციის გავრცელებისას არ ახდენდა წყაროს მითითებას. ხშირად ანალოგიური დეზინფორმაციების მოძიება ხდებოდა უცხოურ სატირულ-იუმორისტულ გამოცემებში, რომელსაც მედის რეალურ ინფორმაციებად ასაღებდა.

ასევე დეფლექციურ ანუ წყაროს არიდების მოდელს პროპაგანდაში აქტიურად იყენებენ. გზავნილის მიმღები ინფორმაციას პირდაპირ იმ მედიუმისგან მიღებულად აღიქვამს, სადაც ეცნობა გზავნილს და არ აკავშირებს მას თავდაპირველ წყაროსთან. ასეთ დროს მიზანი არის დაიმალოს გზავნილის თავდაპირველი წყარო, შეიქმნას მაღალი ხარისხის ნდობა, როგორც გზავნილის, ასევე იმ წყაროს მიმართ, რომლითაც ვრცელდება ინფორმაცია (ანტიდასავლური პროპაგანდა - მედიის მონიტორინგის ანგარიში, 2016, გვ.37)

პროპაგანდის მეთოდებიდან გამოყვეს: 1.დეზინფორმაცია; 2.კონსპირაცია; 3. დემონიზება; 4.საბჭოთა მითები; 5.შეცდომაში შემყვანი სათაურები; 6.ფოტო და ვიდეომანიპულაცია (ანტიდასავლური პროპაგანდა - მედიის მონიტორინგის ანგარიში, 2016, გვ.39)

ზემოთმოყვანილი ინფორმაციაც ამ კვლევიდან მნიშვნელოვანი განსჯის საგანი უნდა იყოს. მედია არაოფიციალურ მეოთხე ხელისუფლებად იწოდება, ამიტომ მას მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებზე. ამიტომ ამგვარი დეზინფორმაციული მასალების გამოქვეყნებისგან თავშეკავება მართებს თუ მათ სერიოზულ ავტორიტეტულ მედია საშუალებებზე აქვთ პრეტენზია, რადგან ეს ვნებს ჩვენი ქვეყნის პროდასავლურ კურსს და შესაბამის მისწრაფებებს.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კვლევა, რომელიც ჩატარდა ამჯერად 2017 წელს, იმსახურებს ჩვენს ყურადღებას. იგი კვლავ მედიის განვითარების ფონდმა

ჩაატარა, რომელიც მოიცავდაპერიოდს 2017 წლის 1 იანვრიდან - 31 დეკემბრამდე. ამ კვლევის მიზანიც, ისევე როგორც 2016 წელს ჩატარებულისა, იყო ქართულ მედიაში გამოვლენილი ანტიდასავლური გზავნილების და ყალბი ინფორმაციის ტიპოლოგიის შესწავლა (ანტიდასავლური პროპაგანდა - მედიის მონიტორინგის ანგარიში, მედიის განვითარების ფონდი (MDF), 2017 წ.).

ახლა კი ეტაპობრივად მიმოვიხილავთ ამ კვლევის უმნიშვნელოვანეს თემატიკას, რაც მიზნობრივად დაგვეხმარება ჩვენს მიერ წამოყენებული ჰიპოთეზის დასაბუთებაში.

ამერიკა - ამ ქვეყანასთან მიმართებით დომინირებდა აზრი, რომ ის ხელყოფს ჩვენს სუვერენიტეტს , ერევა ქვეყნის შიდა საქმეებში და რეალურად მართავს საქართველოს, არის ინსპირატორი სახელმწიფო გადატრიალებების, რევოლუციების, ახალისებს ტერორიზმს თავისი პოლიტიკური მიზნებიდან. ასევე გაჩნდა მოსაზრება, რომ 2008 წელს ომი რუსეთთან, საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ამერიკის წაქეზებით დაიწყო.ასევე გაჩნდა ხედვა, რომ ამერიკა არ დაეხმარა საქართველოს რუსეთთან ომში და მხოლოდ ,,წყალი და პამპერსები“ შესთავაზა. ასევე მკვიდრდებოდა აზრი, რომ ამერიკის მიერ დაწესებული სანქციები რუსეთი მაგიერ ევროკავშირს დააზარალებდა (ანტიდასავლური პროპაგანდა - მედიის მონიტორინგის ანგარიში, მედიის განვითარების ფონდი (MDF), 2017 წ. გვ.11).

ამ ნაწილზე საუბრისას კვლავ შეიძლება ითქვას, რომ აშკარა ანტიდასავლურ ხედვებთან გვაქვს საქმე. ამერიკა არის ჩვენი ქვეყნის უძლიერესი სტრატეგიული მოკავშირე და იგი მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, ჩვენს სუვერენიტეტს. ცხადია ასევე ისიც, რომ რუსეთთან 2008 წლის ომის შემდეგ სწორედ ამერიკა დაგვეხმარა ფინანსური თვალსაზრისით, ასევე ინფრასტრუქტურის აღდგენაშიც. ამას გარდა ინტენსიურ სამხედრო სწავლებებს უტარებენ ჩვენს ჯარისკაცებს ამერიკელი კოლეგები. აქედან გამომდინარე, კვლევაში დაფიქსირებული ანტიამერიკული გზავნილები ნამდვილად რუსეთის წისქვილზე

ასხამს წყალს.

NATO. - ამ მხრივ დომინანტური იყო ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანების გამო სკეპტიციზმის გაღვივება. მკვიდრდებოდა აზრი, რომ ეს არარეალური გეგმაა და თავად ორგანიზაცია საჭიროებს რეფორმებს. არასწორად მიიჩნეოდა კონსტიტუციაში ჩანაწერის გაკეთება ევრო-ატლანტიკურ სივრცეში წევრობასთან დაკავშირებით, რაც ხელისუფლებას მანევრირების შანსს უსპობდა. ამას გარდა გაჩნდა მოსაზრება, რომ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს მცხოვრებთ არ სურდათ ალიანსში ინტეგრაცია. ასევე ეს გამოიწვევდა საბოლოოდ რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიების დაკარგვას. ნატოში შესაძლო გაწევრიანება გაზრდიდა თითქოს თურქეთის ინტერვენციის საფრთხეს ჩვენს ქვეყანაში. ასევე კვლავ აქტუალური იყო მოსაზრება, რომ ქართველი ჯარისკაცების უცხო მისიებში მონაწილეობა მონური ხარკია და არა კოლექტიურ უსაფრთხოებაში წვლილის შეტანა (ანტიდასავლური პროპაგანდა - მედიის მონიტორინგის ანგარიში, მედიის განვითარების ფონდი (MDF), 2017 წ. გვ.12).

დასავლეთი - ისევე როგორც ამერიკის შემთხვევაში, დასალეთთანაც მიმართებით ჩამოყალიბდა აზრი, რომ საბჭოთა კავშირის მსგავსად, ისინიც ერევიან საქართველოს შიდა საქმეებში და ლახავენ სუვერენიტეტს. გაჩნდა მოსაზრება, რომ დასავლური დემოკრატია მოჩვენებითია და ის ორმაგი სტანდარტით მოქმედებს. ასევე თითქოს დასავლეთი არ არის დაინტერესებული კონფლიქტების მოგვარებით და ჩვენი რუსეთთან ურთიერთობების დარეგულირებით. თითქოს ისინი თავად ახალისებენ ტერორიზმს. ასევე დასავლეთი დადანაშაულებული იყო პრეზიდენტ ზ. გამსახურდიას ძალადობრივ დამხობაში (ანტიდასავლური პროპაგანდა - მედიის მონიტორინგის ანგარიში, მედიის განვითარების ფონდი (MDF), 2017 წ. გვ.13).

ჩემი ღრმა რწმენით, დამოკიდებულებანი ნატოსა და დასავლეთის მიმართ, რაც ამ კვლევაშია გაჟღერებული და შესწავლილი, მკაფიოდ მიუთითებს ქვეყანაში ანტიდასავლური რიტორიკის არსებობაზე, რაც ცხადია რუსეთის ინტერესებშია. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ გეოპოლიტიკური თვალსაზრისით რუსეთი დასავლეთს

უმთავრეს მტრად აღიქვამს და ამ მტრობის ერთ-ერთ არეალს კავკასია და საქართველო წარმოადგენს. ჩვენი ქვეყნის შესაძლო გაწევრიანება ნატოში კი ჩრდილოელი მეზობლის გააფთრებას იწვევს.

ამას გარდა აშკარად მიუღებელია დასავლეთის მიმართ უსაფუძვლო ბრალდებები. ეს ცივილიზაცია ამერიკასთან ერთად ჩვენი სუვერენიტეტის უპირობო მხარდამჭერია. ისინი გვეხმარებიან ფინანსური თვალსაზრისით, ამას გარდა გაფორმდა მათთან ხელშეკრულება ,,თავისუფალი ვაჭრობის" შესახებ. ყოველივე ეს ემსახურება იმ მიზანს, რომ მოხდეს საქართველოს სრული ევროპეიზაცია პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სოციალური კუთხით, რის საბოლოო შედეგი უნდა იყოს ამ ორგანიზაციის წევრობა.

ევროკავშირი - ამ მიმართულებით კვლევის თანახმად ცენტრალური საკითხი იყო ევროსკეპტიციზმი, ერთი მხრივ საუბარია ამ ორგანიზაციაში საქართველოს ინტეგრაციის არარეალურობაზე, ასევე იმაზე, რომ თავად ორგანიზაცია მალევე დაიშლებოდა. ასევე გაჩნდა მოსაზრება, რომ ვიზალიბერალიზაცია საქართველოს მოქალაქეთათვის სრულიად უსარგებლოა. ევროკავშირი თითქოს საქართველოს მიგრანტების მიღებას აიძულებს, რაც ჩვენს ეროვნულ იდენტობას დაარტყამს. ასევე მიიჩნევდნენ, რომ ევროპა დაუცველია ტერორიზმისგან და მასში საქართველოს ინტეგრაციას სუვერენიტეტის ხელყოფად მიიჩნევდნენ (ანტიდასავლური პროპაგანდა - მედიის მონიტორინგის ანგარიში, მედიის განვითარების ფონდი (MDF), 2017 წ. გვ.14).

ასევე მნიშვნელოვანია შევეხოთ იდენტობა/ღირებულებების მიმართ გამოკვეთილ ანტიდასავლურ ტენდენციებს. ამ მხრივ კვლავ დომინირებდა მოსაზრება, რომ დასავლეთი თავს გვახვევს ჰომოსექსუალობას, პედოფილიას, გარყვნილი ცხოვრების წესს. ასევე კვლავ მძლავრია ტენდენცია იმ ხედვის ზრდისა, რომ დასავლეთი ებრძვის საქართველოს ეკლესიას, მართლმადიდებლობას. ამ მხრივ თითქოს დასავლეთი ებრძვის ჩვენს ეროვნულ თვითმყოფადობას, ტრადიციებს და ოჯახს და ამიტომ დასავლური ღირებულებები ჩვენთვის

მიუღებელია (ანტიდასავლური პროპაგანდა - მედიის მონიტორინგის ანგარიში, მედიის განვითარების ფონდი (MDF), 2017 წ. გვ.15).

დასავლეთისა და იდენტობის მიმართულებით ამგვარი ხედვების გავრცელება პირდაპირ კვალ და კვალ რუსეთის წისქილზე ასხამს წყალს. ,,ერთმორწმუნეობის“ საკითხი ძალზე საშიში მახეა ჩვენთვის, რდგან მართლმადიდებლობა ქართველი ერისათვის უდიდესი ღირებულებაა. თუმცა ამას ხშირად რუსეთი მისდამი სიმპათიების ზრდისთვის იყენებს. ამას კი მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა დავუთმოთ, რომ რუსეთმა კვლავ სათავისოდ არ გამოიყენოს საერთო აღმსარებლობის საკითხი.

ასევე დიდი სიცრუეა ის, რომ თითქოს დასავლეთი თავს გვახვევს სიბილწეს, ჰომოსექსუალიზმს. თითქოს იგი ჩვენს ეკლესიას ეწინააღმდეგება. უბრალოდ უნდა გვესმოდეს, რომ დასავლეთს აქვს ჩვენგან მოლოდინი იმისა, რომ აქ დაცული იქნება ყოველი ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი. ოჯახი წარმოადგენს სახელმწიფოს ძლიერების საფუძველს. შეუძლებელია ამას ეწინააღმდეგებოდეს დასავლეთი, სადაც სახელმწიფოები მეტ-ნაკლებად გამართულნი არიან ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური თვალსაზრისით.

კვლევის ავტორები ანტიდასავლური გზავნილების წყაროებად გამოყოფენ: მედიას, პოლიტიკოსებს, საზოგადოებას, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, სასულიერო პირებს (ანტიდასავლური პროპაგანდა - მედიის მონიტორინგის ანგარიში, მედიის განვითარების ფონდი (MDF), 2017 წ. გვ.19).

მედიასაშუალებებიდან გამოიკვეთა 4 ძირითადი მედია, რომლებიც ანტიდასავლური გზავნილების მთავარი წყაროა. ყველაზე მეტი ანტიდასავლური კომენტარი, ონლაინ გამოცემა ,,საქართველო და მსოფლიოს“ ჟურნალისტებმა და ავტორებმა გააკეთეს. ამის გარდა მსგავსი რიტორიკით გამოირჩევიან საინფორმაციო პორტალი ,,საქინფორმი“, ტვ ,,ობიექტივი“ (ანტიდასავლური პროპაგანდა - მედიის მონიტორინგის ანგარიში, მედიის განვითარების ფონდი (MDF), 2017 წ. გვ.20).

ყველა ზემოთხსენებული მედიასაშუალება რეალურად წარმოადგენს ანტიდასავლური რიტორიკის მქონე პლატფორმებს. ისინი ამკვიდრებენ მოსაზრებას, რომ ამერიკა არის აგრესორი, გადატრიალებების ინსპირატორი, ტერორიზმის ხელშემწყობი. ხოლო რუსეთი რეალურად საპირწონედ და ალტერნატივად წარმოჩინდება. ასევე ამკვიდრებენ მოსაზრებას, რომ ამერიკა და დასავლეთი არ არიან დაინტერესებული კონფლიქტების მოგვარებით, რუსეთ-საქართველოს უშუალო დიალოგით. ბუნებრივია ამგვარი შეხედულებანი პრორუსული პროპაგანდის შედეგია. რუსეთის ინტერესები არ არის ის, რომ არსებობდეს დამოუკიდებელი, სუვერენული საქართველო. აქედან გამომდინარე მასთან ერთ-ერთზე მოლაპარაკებების წარმოება დიდ საფრთხეებთან არის დაკავშირებული. დასავლეთის მხარდაჭერის გარეშე სავსებით არალოგიკურად ჟღერს, თუ როგორ შეიძლება პატარა, სუსტმა საქართველომ ტოლსწორი, სახელმწიფოთაშორისი მოლაპარაკება აწარმოოს ბირთვული იარაღის მფლობელ უზარმაზარ რუსეთის სახელმწიფოსთან. ამიტომ ლოგიკურია, რომ ზემოთხსენებული გამოცემები უნდა დავადანაშაულოთ პრორუსული პროპაგანდის გავრცელებაში.

ამ კვლევის თანახმად გამოიკვეთა და გაანალიზდა კრემლის ნარატივის სტრუქტურა. ქართულ დისკურსში იგი 3 საფეხურიანია და მიზნად ისახავს შემდეგს: 1. საფრთხეების შექმნას; 2. პარტნიორების და დასავლური ინსტიტუტებისადმი უნდობლობის დათესვას; 3. საფრთხეებთან ბრძოლაში რუსეთის უალტერნატივობის და ავტორიტარულ-საბჭოური მმართველობის საჭიროების აზრის დამკვიდრებას (ანტიდასავლური პროპაგანდა - მედიის მონიტორინგის ანგარიში, მედიის განვითარების ფონდი (MDF), 2017 წ. გვ.28).

მაგალითისათვის გამოიყო: ომის, ტერიტორიების დაკარგვის, ბიოლოგიური დივერსიის, იდენტობის დაკარგვის საფრთხეები. ამ ყოველივეში მოიაზრებოდა შემდეგი შეხედულებანი: სააკაშვილმა ომი ამერიკის წაქეზებით დაიწყო.თითქოს ნატო ახდენდა რუსეთის პროვოცირებას. ასევე ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში შესაძლო წევრობა გამოიწვევდა ტერიტორიების დაკარგვას და თურქეთის

ინტერვენციას. ბიოლოგიურ დივერსიად შეფასდალუგარის ლაბორატორიის არსებობა, რომელიც თითქოს ქმნის ეპიდემიებს და ვირუსები ქართულ გენს ანადგურებს. იდენტობის დაკარგვაში მოიაზრებოდა: რელიგიური, ეთნიკური, გენდერული ასიმილაციის საფრთხე (ანტიდასავლური პროპაგანდა - მედიის მონიტორინგის ანგარიში, მედიის განვითარების ფონდი (MDF), 2017 წ. გვ.28).

ასევე გამოიყო უნდობლობის დათესვა. მაგალითისათვის სტრატეგიული პარტნიორებისადმი, რომ 2008 წლის ომის დროს ამერიკამ ვერ დაგვიცვა. მთლიანობაში დასავლეთს, მათ ინსტიტუტებს არ შეუძლიათ საქართველოს დახმარება. ამას გარდა დომინირებს მოსაზრება, რომ ამერიკა, ნატო და ევროკავშირი არ არიან დაინტერესებული კონფლიქტების მოგვარებით, რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირებით. რწმენის შერყევა არის ასევე გამიზნული ინსტიტუტებისადმი. ამ მხრივ ცდილობენ დაამკვიდრონ შეხედულება, რომ საქართველოს ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლების მაგიერ დასავლეთი მართავს. ხოლო არასამთავრობო ორგანიზაციები უცხო ქვეყნის დაკვეთას ასრულებენ. უნდობლობის დანერგვის მცდელობა დემოკრატიისადმი. თითქოს დასავლური დემიკრატია პირობითია და ორმაგი სტანდარტებით მოქმედებს. არცერთი დასავლური ინსტიტუტი დემოკრატიული არ არის (ანტიდასავლური პროპაგანდა - მედიის მონიტორინგის ანგარიში, მედიის განვითარების ფონდი (MDF), 2017 წ. გვ.29).

მესამე ასპექტი კრემლისტურ ნარატივში არის საფრთხეებთან ბრძოლა. აქ გამოხატულია შეხედულება, რომ ერთმორწმუნე რუსეთი იცავს მართლმადიდებლობას, ებრძვის ჰომოსექსუალობას. ასევე ძლიერი რუსეთი რეალურად ებრძვის ტერორიზმს, ერთადერთი უსაფრთხო სივრცეა ტერორიზმისგან. იცავს ქვეყნებს აგრესორი ნატოსგან და ამერიკისგან. აქებს ავტორიტარულ საბჭოთა მმართველობას იმით, რომ აყალიბებს ხედვებს: საბჭოთა სისტემა, რომელიც დასავლეთმა დაშალა, დაგვიცავდა დღეევანდელი გამოწვევებისაგან. ასევე, სტალინი რომ ცოცხალი იყოს, საქართველოს

გაამთლიანებდა. ლიბია სოციალურად დაცული სახელმწიფო იყო, რომელიც დასავლეთმა გაანადგურა (ანტიდასავლური პროპაგანდა - მედიის მონიტორინგის ანგარიში, მედიის განვითარების ფონდი (MDF), 2017 წ. გვ. 29).

ზემოთხსენებული მონაცემები კიდევ ერთხელ მკაფიოდ გვიჩვენებს იმას, რომ პრორუსული პროპაგანდა აქტიურად მუშაობს და ცდილობს გააღრმავოს ანტიდასავლური განწყობები. ამისათვის მიმდინარეობს მუდმივი საინფორმაციო ხასიათის შეტევა ამერიკაზე, ევროკავშირზე და ზოგადად დასავლეთზე. აქედან გამომდინარე აუცილებელია პოლიტიკური კლასისა და საზოგადოების ერთობლივი, მყარი შეთანხმება იმაზე, რომ სწრაფვა დასავლეთში ინტეგრაციისაკენ უალტერნატივოა, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ ხალხს ნებისმიერ თემაზე ისეთივე შეხედულებები აქვს, როგორც ევროპელებსა და ამერიკელებს.

ამავე კვლევის ფარგლებში მონიტორინგის დროს, მედიის განვითარების ფონდმა, პროექტის ,,მითების დეტექტორის“ ფარგლებში 144 დეზინფორმაცია გამოავლინა. აქედან გამომდინარე, ავტორებმა გამოკვეთეს ის მეთოდები, რითაც ვრცელდება ეს დეზინფორმაციები. ესენია: ყალბი ფოტო, ისტორიის გაყალბება, სოციალური მედია, როგორც ყალბი ინფორმაციის წყარო, კონსპირაცია, ვიდეომანიპულაცია, ლიტერატურული ნაწარმოების/სატირულ-იუმორისტული პუბლიკაციის რეალურ ფაქტად წარმოჩენა.

ყველა ეს მეთოდი ემსახურება პროდასავლურად განწყობილი საზოგადოების დაბნევას, რაც ცხადია კვლავ და კვლავ რუსეთის ინტერესში შედის. რეალურად საქართველოს სუვერენიტეტის, მისი ტერიტორიული მთლიანობის მხარდამჭერი ამერიკა, ნატო და ზოგადად დასავლეთია და არა რუსეთი.

ყველაზე მგრძნობიარე საკითხებად მიმაჩნია ,,ერთმორწმუნეობის თემა“ და ის, თითქოს დასავლეთი ერთსქესიანთა ქორწინებასგვახვევს, რაც რეალურად არასოდეს დამდგარა თანამედროვე საქართველოს დღის წესრიგში. საერთო რელიგიური აღმსარებლობის საშუალებით რუსეთი ცდილობს თავისი პოლიტიკური მიზნების მიღწევას და დასავლეთის ,,გაშავებას“. ჩემი ღრმა რწმენით,ამ ყოველივეს

არ უნდა წამოვეგოთ. ჩვენ რუსეთთან ურთიერთობის მძიმე ისტორიული გამოცდილება გვაქვს, რამაც მეტი გონიერებიდა და განსჯისკენ უნდა გვიბიძგოს. აქედან გამომდინარე რამდენადმე სერიოზული პოლიტიკური ხასიათის დიალოგის მიმართვა ჩრდილოელ მეზობელთან.

საბოლოოდ, 2017 წელს ჩატარებული კვლევის ავტორებმა გამოყვეს მთელი რიგი ტენდენციები, რომელთაგან რამდენიმე მათგანს წარმოვადგენთ სრული ციტატის სახით; ესენია:

1. ,,2017 წელს მონიტორინგის სუბიექტ 17 მედიასაშუალებაში სულ 1967 ანტიდასავლური კომენტარი გამოვლინდა“ (ანტიდასავლური პროპაგანდა - მედიის მონიტორინგის ანგარიში, მედიის განვითარების ფონდი (MDF), 2017 წ. გვ. 7).
2. ,,2015-2016 წლებისგან განსხვავებით, როცა დომინანტი ადამიანის იდენტობასთან და უფლებებთან დაკავშირებული ნეგატიური გზავნილები იყო, 2017 წელს წინა პლანზე საგარეო-პოლიტიკურმა თემატიკამ წამოიწია, რაც საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის საკითხებზე პოლარიზაციის გაზრდას ისახავს მიზნად. ასეთი ცვლილება კრემლისტური აქტორების კომუნიკაციის სტრატეგიაში აჩვენებს, რომ ,,იდენტობის დაკარგვის საფრთხე“ უფრო ტაქტიკური გზავნილი იყო, რომელმაც საწყის ეტაპზე ნიადაგი შეამზადა, ხოლო საქართველოს სტრატეგიული პარტნიორების (ამერიკა, NATO, ევროკავშირი) დემონიზებაზე მიმართული გზავნილები უფრო სტრატეგიული ხასიათისა იყო“ (ანტიდასავლური პროპაგანდა - მედიის მონიტორინგის ანგარიში, მედიის განვითარების ფონდი (MDF), 2017 წ. გვ. 7).
3. ,,წინა წლებთან შედარებით თითქმის გასამმაგებულია ანტიამერიკული გზავნილები (25,9%), რომელთაც ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსი (18,4%) და დასავლეთი (14,1%) მოსდევენ“ (ანტიდასავლური პროპაგანდა - მედიის მონიტორინგის ანგარიში, მედიის განვითარების ფონდი (MDF), 2017 წ. გვ. 7).
4. ,,წინა წლებისგან განსხვავებით, ასევე ვხვდებით უფრო მკაფიო შეფასებებს

რუსეთის დასავლეთის ალტერნატივად წარმოჩენისა და საბჭოთა კავშირის იდეალიზების მხრივ (7,2%)“(ანტიდასავლური პროპაგანდა - მედიის მონიტორინგის ანგარიში, მედიის განვითარების ფონდი (MDF), 2017 წ. გვ.17).

ამ მცირე ტენდენციებიდანაც ჩანს, რომ ანტიდასავლური განწყობები აქტუალური და მნიშვნელოვანი საკითხია. პრორუსული პროპაგანდა აქტიურად მუშაობს მის ზრდაზე. აუცილებელია ამ მიმართულებით იმგვარი სამუშაოების ჩატარება სახელმწიფო დონეზე, რაც შეამცირებს ანტიდასავლურ განწყობებს.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი - კვლევა, რომელის ჩვენს თემას პირდაპირ ეხმიანება და რომლის განხილვაც აუცილებელია, არის ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მიერ შექმნილი დოკუმენტი: კრემლის საინფორმაციო ომი საქართველოს წინააღმდეგ: პროპაგანდასთან ბრძოლის სახელმწიფო პოლიტიკის აუცილებლობა“. იგი 2016 წლის 22 აგვისტოს გამოქვეყნდა. აქედან გამომდინარე მნიშვნელოვანია მოვახდინოთ მისი განხილვა-ანალიზი ჩვენი ნაშრომის მიზანდასახულობიდან გამომდინარე.

რუსეთის ფედერაცია სულ უფრო აქტიურად იყენებს პროპაგანდის მეთოდებს, როგორც ბერკეტს თავისი ინტერესების გასატარებლად სხვადასხვა ქვეყანაში. ამ მიმართულებით საფრთხეთა გაცნობიერება დაიწყო დასავლურმა საზოგადოებამ და ასევე მნიშვნელოვანია, რომ იგივე გააკეთოს საქართველოს ხელისუფლებამ, ასევე, საზოგადოებამ.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რუსეთის გავლენა სუსტდება პოსტსაბჭოთა ქვეყნებში. ე.წ. ,,ფერადი რევოლუციების“ შემდეგ საქართველო, უკრაინა და მოლდოვა იწყებენ სვლას ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსისა და ევროკავშირისკენ. ცხადია ამას კრემლი მნიშვნელოვან გეოპოლიტიკურ საფრთხედ აღიქვამს რეგიონში თავისი ინტერესებისათვის (IDFI - კრემლის საინფორმაციო ომი საქართველოს წინააღმდეგ; 2016, გვ.5)

ამის საპასუხოდ კრემლი პოზიციების გასამყარებლად აწარმოებს ომს, რასაც იყენებს პროდასავლური ვექტორის მქონე ქვეყნების წინააღმდეგ. ეს ნიშნავს იმას,

რომ გარდა სამხედრო ბერკეტებისა, ის აქტიურად იყენებს მის ხელთ არსებულ ფინანსურ, პოლიტიკურ, საინფორმაციო ბერკეტებს.

ეს საფრთხე უმნიშვნელოვანესია, რუსეთი ფლობს პროპაგანდის ფართო ქსელს, რომელშიც ერთიანდებიან რუსული და სამიზნე ქვეყანაში მყოფი პოლიტიკოსები, საზ. ორგანიზაციები, ბიზნეს-ჯგუფები. მრავალფეროვანია პროპაგანდის გავრცელების საშუალებებიც. ესენია: ტელევიზია, რადიო, ბეჭდური მედია, ონლაინ-გამოცემები, სოცალური ქსელები.

ამ ანგარიშის ავტორები ირწმუნებიან, რომ თუ საქართველოს მთავრობა შესაბამის წინააღმდეგობას არ გაუწევს კრემლის პროპაგანდას, ამას სავალალო შედეგები მოყვება, რომელთაგან გამოყოფენ შემდეგს:

1. შესუსტდება ევროპული ინტეგრაციის მიმართ მოსახლეობის მხარდაჭერა და პირიქით, გაიზრდება რუსეთთან დაახლოების მომხრეთა რიცხვი, რაც ჩვენს საგარეო-პოლიტიკურ კურსს დიდად დაემუქრება და დააზიანებს;
2. გარეშე მტრულ ძალას მიეცემა საშუალება გავლენა მოახდინოს ქვეყნის პოლიტიკურ დღის წესრიგზე, რაც საქართველოს სუვერენიტეტს დიდ საფრთხეს შეუქმნის;
3. დეზინფორმაციული კამპანია მოქალაქეებს ხელს შეუშლის მიიღოს ფაქტებზე და არა ემოციებზე დაფუძნებული გადაწყვეტილება, რაც შეასუსტებს ქართულ დემოკრატიას და ცუდ გავლენას მოახდენს არჩევნების შედეგებზე;
4. საზოგადოებაში გაძლიერდება ქსენოფობია და ასევე მოიმატებს ეთნიკური და რელიგიური შუღლი, შესუსტდება სამოქალაქო ერთობა, დაირღვევა უმცირესობათა უფლებები (IDFI - კრემლის საინფორმაციო ომი საქართველოს წინააღმდეგ; 2016, გვ.7)

ზემოთმოცემული საფრთხეები აუცილებელია, რომ მართებულად განისაჯოს. მართლაც მნიშვნელოვანია რომ ეს ყოველივე აუცილებლად როგორც ხელისუფლებამ, ისე საზოგადოებამ უნდა გაითვალისწინოს რუსეთთან ურთიერთობაში.

კრემლის პროპაგანდის ზოგადი მახასიათებლებიდან გამოყოფენ რამდენიმე მათგანს, რომელიც უნივერსალური ხასიათისაა და თავს იჩენს არაერთ ქვეყანაში. ესენია:

1. მოცულობა და გავრცელების მრავალარხიანი ქსელი - პროპაგანდა იქმნება სხვადასხვა ფორმატში (ტექსტი, აუდიო-ვიდეო მასალა) დახდება მისი გავრცელება ასევე მრავალფეროვანი საშუალებებით (ინტერნეტი, სოც. მედია, პრესა და სხვა);
2. ობიექტური რეალობის უგულებელყოფა - ეს არის კრემლის პროპაგანდის უძლიერესი მეთოდი, რაც ემყარება ფაქტებისა და ინფორმაციების განზრახ დამახინჯებას, მათთვის თავისებური, რუსულ ინტერესებზე მორგებული ინტერპრეტაციების მიცემას;
3. სიხშირე, უწყვეტობა, განმეორებადობა - კრემლის პროპაგანდა დროში უწყვეტი ხასიათით. მეორდება. ხშირად ხდება ძველი ყალბი ინფორმაციების ტირაჟირება;
4. პროპაგანდის ობიექტის დაბნევა - კრემლის მიზანია არა ტყუილის სიმართლედ წარმოჩენა, არამედ ფაქტების დამახინჯება, რათა ურთიერთსაპირისპირო ინფორმაციებიდან მკითხველმა სწორი დასკვნები ვერ გააკეთოს.
5. კრიტიკის უარყოფა - კრემლის პროპაგანდა უგულებელყოფს რუსეთის ფედერაციის ქმედებების ყველანაირ კრიტიკას და მას დასავლეთი მიერ შეთხზულად წარმოაჩენს (IDFI - კრემლის საინფორმაციო ომი საქართველოს წინააღმდეგ; 2016, გვ.9)

კრემლის პროპაგანდის მიზნებიდან უნდა გამოვყოთ რამდენიმე მათგანი, რომელიც განსჯისათვის მნიშვნელოვან საგანს წარმოადგენს, ესენია: 1. საქართველოს მოსახლეობაში ანტიდასავლური განწყობების გაღვივება, დასავლური ორგანიზაციების დისკრედიტაცია; 2. საქართველოს სწრაფვის შეკავება დასავლური ინსტიტუტებისაკენ; 3. რუსეთის მიერ მხარდაჭერილი ძალების

გლობალურ ასპარეზზე გაძლიერება; 4. შეთქმულების თეორიების, ნახევარსიმართლეების და ყალბი ინფორმაციების გავრცელება.

ჩვენ ნაშრომში უკვე აღვნიშნეთ, რომ ჰიპოთეზა, რისი დამტკიცებაც იყო მიზანი ამ ნაწერისა, ემყარება იმ უმთავრეს თეზისს, რომლის თანახმად რუსეთი დასავლეთთან გეოპოლიტიკურ მეტოქეობაშია ჩაბმული და ეს ბრძოლა კავკასიაში, კერძოდ, საქართველოშიც მიმდინარეობს. ჩრდილოელი მეზობლის მიზანია არ დაკარგოს გავლენა კავკასიაში, შესაბამისად ამისათვის მან, უპირველეს ყოვლისა, საქართველო უნდა გააკონტროლოს. სწორედ ეს ამტკიცებს მკაფიოდ ჩვენს მიერ წამოყენებულ ჰიპოთეზას, რომ ანტიდასავლური განწყობების ზრდაზე უმთავრესი გავლენა აქვს პრორუსულ პროპაგანდას. ამისთვის მუშაობს კრემლის პროპაგანდაც და ზემოთაღწერილი მისი მიზნებიც ამას ემსახურება. აქედან გამომდინარე, კრემლის პროპაგანდის ძირითადი აქცენტები საქართველოში, შემდეგი მიმართულებებით გამოიყოფა: საქართველოს ინტეგრაციის დისკრედიტაცია დასავლურ ორგანიზაციებში, დასავლური ღირებულებების დაკნინება, შეთქმულების თეორიების გავრცელება. ყოველივე ამ მიზნებს ასევე ემსახურება საქართველოში არსებული ღია თუ ფარული პრორუსული ჯგუფები, რომელთა აქტიური მოღვაწეობით რუსეთი ცდილობს მისთვის სასურველი ვითარების შექმნას და აქ ანტიდასავლური განწყობების გაღრმავებას. ამით დავასრულებთ ანტიდასავლურ პროპაგანდაზე ჩატარებული კვლევების ანალიზს. სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა მოძიება 2018-2019 ანალოგიური კვლევების, რომელიც მნიშვნელოვან დახმარებას გაგვიწევდა ჩვენი თემის შესაბამის დამუშავებაში.

თავი III

ანტიდასავლური განწყობებისა და პრორუსული პროპაგანდის წინააღმდეგ ბრძოლის გზები

ამ თავში მსურს განვიხილო საკითხი იმის შესახე, თუ რა ბრძოლის ხერხები და სწორი მეთოდები უნდა შევიმუშავოთ ანტიდასავლური განწყობებისა და პრორუსული პროპაგანდის წინააღმდეგ. ნათელია, რომ ეს ორი უმნიშვნელოვანესი გამოწვევა აქვს ქართულ სახელმწიფოს. ამ მხრივ გამოვყოფ რამდენიმე მნიშვნელოვან ასპექტს და შევეცდები გავაფართოვო მსჯელობა.

1. რუსეთის საგარეოპოლიტიკური მიზნების და მიდგომების მკაფიო ანალიზი - აუცილებელ საქმედ მიმაჩნია აკადემიურ დონეზე იქნას შესწავლილი თანამედროვე რუსეთის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემა, პოლიტიკური ძალები, რომლებიც ქმნიან ამინდს ამ სისტემაში, ასევე ფინანსური ელიტებიც.

შევეცდები გადმოვცე ჩემი პირადი შეხედულებანი თანამედროვე რუსეთის შესახებ. დღესდღეობით ამ სახელმწიფოს დაახლოებით ისეთივე სახის ამბიციები გააჩნია, როგორიც ჰქონდა წარსულ დროში. კერძოდ კი გლობალურ ასპარეზზე დაპირისპირებულია დასავლეთთან და თავისი გეოპოლიტიკური მიზნები გააჩნია. უპირველეს ყოვლისა ეს მოიცავს პოსტსაბჭოთა სივრცეზე გავლენის სრულ აღდგენას. ამას გარდა ენერგეტიკული რესურსების ხარჯზე წონიანი პოლიტიკური გავლენის ქონას წამყვან ევროპულ თუ ცენტრ.-აღმ. ევროპის სახელმწიფოებზე. ამას გარდა ეს სახელმწიფო ცდილობს თავისი ინტერესები გამოკვეთოს ახლო აღმოსავლეთში. ამავდროულად თავის გავლენის უპირველეს სფეროდ მიიჩნევს კავკასიის რეგიონს. მთლიანობაში რომ მართებულად დავუპირისპირდეთ პრორუსულ პროპაგანდას, სწორედ ამიტომ აუცილებელია ამ სახელმწიფოს საფუძვლიანი, ძირეული შესწავლა. მისი ბუნების მაქსიმალურად ღრმად შეცნობა, რათა საბედისწეროდ მცდარი ნაბიჯები არ გადავდგათ, რაც ჩვენთვის შესაძლოა ტრაგიკულად დასრულდეს. ამის

ისტორიული გამოცდილება კი მარავლად გვაქვს. აქედან გამომდინარე, რუსეთის საფუძვლიანი შესწავლა, მისი საგარეოპოლიტიკური მიზნებისა აუცილებლად დაგვეხმარება სწორი ნაბიჯების გადადგმაში პრორუსული პროპაგანდის წინააღმდეგ.

2. კიდევ ერთ მნიშვნელოვან ასპექტად მიმაჩნია რუსულ-ქართული ურთიერთობების გააზრება ისტორიული რაკურსის ფონზე. პრორუსული პროპაგანდის უმნიშვნელოვანეს ელემენტს წარმოადგენს ერთმორწმუნეობის საკითხი. ცხადია ქართველი ერისათვის უმნიშვნელოვანეს ღირებულებას წარმოადგენს მათლმადიდებლობა, რომლისთვისაც ჩვენი წინაპრები ფიზიკურად ეწამებოდნენ და შეიძლება ითქვას წარსულში ჩვენს სარწმუნოებასა და სახელმწიფოებრიობას შორის ტოლობის ნიშანი იყო დასმული. სწორედ ამით ცდილობს სარგებლობას რუსეთი, ამ მგრძნობიარე თემით რაც შეიძლება მეტი ადამიანის გადაბირებას და თავისი პოლიტიკური მიზნების ბოლომდე მიყვანას საქართველოში. ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ 200-წლიანი მონობის უღელი გამოვიარეთ სწორედ ,,ერთმორწმუნე“ რუსეთთან ერთად და დღეს ნდობა ჩრდილოელი მეზობლისა კვლავ დამღუპველი აღმოჩნდება. აქედან გამომდინარე ეს მეორე ასპექტიც კარგი საშუალება მგონია პრორუსული პროპაგანდის სამხილებლად, რათა ილუზიები ,,კეთილი“ და ,,ერთმორწმუნე“ რუსეთის შესახებ მარტივად გაგვეფანტოს.

3. კიდევ ერთ მნიშვნელოვან ასპექტად მსურს გამოვყო ანტიდასავლური განწყობების შემცირებისკენ მიმართული ღონისძიებები. ამის ყველაზე კარგ საშუალებად მიმაჩნია თანამედროვე დასავლურ სახელმწიფოთა სოციალურ-ეკონომიკური თუ პოლიტიკური ცხოვრების შესახებ ობიექტური მიუკერძოებელი ინფორმაციის გავრცელება ქართულ საზოგადოებაში.

ცხადია არსებობს საკითხები, სადაც ჩვენი საზოგადოება ვერ გაიზიარებს დასავლურ მიდგომებს. მეტადრე ეს ეხება ერთსქესიანთა

ქორწინების დაკანონებას, მათთვის ბავშვების შვილად აყვანის უფლების მიცემას, ამის შესახებ დასავლეთშიც კარგად ესმით, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ამის გამო ამ უდიდესი ცივილიზაციის სრული ,,დემონიზება" მიუღებელია.

დასავლეთისაგან შეგვიძლია შევითვისოთ კანონის უზენაესობა, დემოკრატიული პოლიტიკური კულტურა, შევქმნათ მეტ-ნაკლებად სოციალურად სამართლიანი საზოგადოება, შემოვიღოთ ევროპული ტიპის შრომითი კანონმდებლობა, ავითვისოთ მათი სამეცნიერო ტექნოლოგიები. აქედან გამომდინარე, პოლიტიკურმა თუ ინტელექტუალურმა ელიტებმა ადამიანებს უნდა აუხსნან, რომ რიგი განსხვავებების მიუხედავად, დასავლეთი არის ცივილიზაცია, საითკენაც სწრაფვა ქართველ ერს და სახელმწიფოს მოუტანს დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას.

4. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი, რაც ვფიქრობ თავიდან აგვარიდებს ანტიდასავლურ განწყობებს გახლავთ ის, რომ ჩვენი ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური კურსი პრაგმატულად და რეალისტურად უნდა დაიგეგმოს. ნათელია რომ საქართველოს მიზანია გახდეს ნატოსა და ევროკავშირის წევრი. არაერთი მიმართულებით ორივე ორგანიზაციასთან ნაყოფიერად ვთანამშრომლობთ და გვაქვს პარტნიორული ურთიერთობა, რაც დიდად სარგებლიანია ჩვენი ქვეყნისათვის. მეორე მხრივ, არსებობს ობიექტური ფაქტორები, რის გამოც გაწევრიანების პროცესი არ იქნება მარტივი. ერთი მხრივ ეს არის, რუსეთის მიერ ოკუპირებული აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ტერიტორიები. ნატოს წესდების თანახმად კი ქვეყანა, რომელიც კონფლიქტშია სხვა რომელიმე სახელმწიფოსთან და ასევე არ აქვს ტერიტორიული მთლიანობა დაცული, ვერ გახდება ორგანიზაციის წევრი. ხოლო ევროკავშირში მიმდინარეობს საკმაოდ რთული პროცესები, როგორიცაა მიგრაციული კრიზისი, მემარჯვენე ნაციონალისტების აღზევება, რაც ცხადია გავლენას ახდენს მის საგარეო პოლიტიკაზე და იმაზე, მიიღოს თუ არა ახალი წევრები თავის რიგებში. აუცილებელი მგონია ამ ობიექტურ

ფაქტორთა გაცნობა ჩვენი საზოგადოებისათვის, რათა გვესმოდეს რომ ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანებისაკენ სწრაფვა არაა იოლი პროცესი. ამას გარდა ჩვენი პოლიტიკოსები ხშირად დაბეჯითებით აცხადებენ, რომ საქართველო აუცილებლად გახდება ორივე ორგანიზაციის წევრი და იმ ფონზე, როცა წევრობის საკითხი განხილვის დონეზეც არ დასმულა ჩვენი პარტნიორების მიერ, ამგვარი თავდაჯერებული განცხადებები უმართებულო მგონია, რადგან ეს მოქმედებს ჩვენს საზოგადოებაში ანტიდასავლურ განწყობებზე და წარმოშობს ნიჰილიზმს დასმული საკითხის მიმართ. აქედან გამომდინარე ვფიქრობ სასურველია ჩვენი ქვეყნის საგარეო პოლიტიკური კურსი უფრო პრაგმატული გახდეს. კარგად უნდა ვისარგებლოთ იმ სიკეთეებით, რაც დღესდღეობით გვაქვს მოპოვებული ნატოსა და ევროკავშირთან ურთიერთობით, თუმცა ცხადია ჩვენი მთავარი მიზანია ამ ორგანიზაციებში წევრობა, რაზეც გარკვეულწილად მოთმინება გვმართებს, რადგან ეს არც ისე ახლო პერსპექტივაა.

დასკვნა

წინამდებარე ნაშრომი მიეძღვნა ანტიდასავლური განწყობების კვლევას საქართველოში. საკითხი ძალზე აქტუალური იყო და არის თანამედროვე ქართული სახელმწიფოსათვის. კვლევის მთავარი მეთოდის, რითაც ვიხელმძღვანელეთ იყო კონტენტ-ანალიზი. კერძოდ, გაზეთ „საქართველო და მსოფლიო“ პერიოდიკის - 2016-2019 წ.წ. სადაც ძალზე მრავლად ქვეყნდებოდა იმგვარი სტატიები ქართულ თუ საერთაშორისო პოლიტიკაზე, რომელნიც აშკარა ანტიდასავლურ რიტორიკას შეიცავენ, რაც რუსეთის ინტერესების დაცვის მცდელობად უნდა იქნას აღქმული.

ამ ანალიზმა მოგვცა საშუალება გამოგვეყო გარკვეული თეორიული ხასიათის შედეგები. მოცემულ პერიოდში დაბეჭდილი სტატიების მიხედვით განსაკუთრებული დარტყმის განხორციელების მცდელობები იყო ამერიკის, ნატოს, ევროკავშირის და ზოგადად დასავლეთის წინააღმდეგ, რაც მთლიანობაში ანტიდასავლურ რიტორიკას განაპირობებდა.

ამერიკის მიმართ გამოთქმულია ბრალდებები, რომ იგი არა მშვიდობისმყოფელი ზესახელმწიფოა, არამედ ომის გამჩაღებელი, ფერადი რევოლუციების, სახელმწიფო გადატრიალებების ინსპირატორია.

ასევე ამ სტატიებში დამკვიდრებული იყო ხედვა, რომ საქართველოს ამერიკა არ მიიჩნევდა თავის პარტნიორად, არამედ რეალურად ვართ მისი ვასალი და მონა-სახელმწიფო.

რიგი სტატიებისა წარმოაჩენდა ამერიკის შიდა თუ საგარეო პოლიტიკის ხარვეზებს, დაბრკოლებებს, რითაც ხდებოდა იმის მტკიცება, რომ ეს ზესახელმწიფო კარგავს თავის გავლენას და ძალაუფლებას მსოფლიოში. აქედან გამომდინარე იგი ვერ დაგვიცავდა და ვერ დაგვეხმარებოდა რუსული საფრთხის განეიტრალებაში. ამ ყოველივეს საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ ამ გამოცემის მიზანი მკითხველთა დაბნევა და მათი შეცდომაში შეყვანაა.

ანალოგიური ხასიათის სტატიებს ვხვდებით ევროკავშირისა და ჩრდილო ატლანტიკური ორგანიზაციის წინააღმდეგ. ზოგადად დასავლეთის მიმართ

მკვეთრად ნეგატიური ხასიათის მასალებს ვხვდებით.

ევროკავშირში მიმდინარე რთული პროცესები და გამოწვევები ახსნილი და მოწოდებულია იმგვარად, რომ მკითხველმა გამოიტანოს ერთადერთი დასკვნა - იგი მალე დაიშლება.

ამგვარი ცრუხედვების დამკვიდრება წმინდა წყლის ანტიდასავლური ნარატივია. მისი მიზანია ქართველ საზოგადოებაში სკეტპიციზმის დათესვა საქართველოს ევროინტეგრაციული კურსისადმი, რაც ცხადია რუსეთის გავლენას და პოლიტიკას გააძლიერებს ჩვენს ქვეყანაში.

კვლავ აქტუალურია პრობლემა იმასთან დაკავშირებით, რომ ინტენსიურად ცდილობენ ადამიანთა დარწმუნებას დასავლეთის „გარყვნილებაში“ . თითქოს ის ებრძვის ოჯახის ინსტიტუტს, მართლმადიდებლობას და თავს გვახვევს ცრუ ღირებულებებს.

კვლევის მეთოდად ასევე გამოყენებული იქნა მეორადი წყაროები, სადაც ჩვენთვის საინტერესო საკითხზე ჩატარებულ კვლევები მიმოვიხილეთ. აქტიურად გამოვიყენეთ „მედიის განვითარების ფონდის“ მიერ ჩატარებული კვლევები, რომლებიც ჩატარებულ იქნა 2016 და 2017 წელს. მათ კვლევის მზიანი იყო ანტიდასავლური პროპაგანდის შესწავლა - ანალიზი.

ძირითადი მიმართულებები, რაც მათ მიერ იქნა გამოყოფილი და ჩვენს ნაშრომში ნაყოფიერად გამოვიყენეთ, გახლავთ შემდეგი მიმართულებანი: დამოკიდებულებანი ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის, ევროკავშირის, დასავლეთის, ამერიკის მიმართ. აქ გამოვლინდა რომ ანტიდასავლური პროპაგანდა უკიდურესად ნეგატიურ გზავნილებს ახმოვანებდა დასავლური სახელმწიფოების და ინსტიტუტების მიმართ.

ანტიდასავლურ განწყობებზე რუსეთის დიდი ზეგავლენის ანალიზი დაგვეხმარა არასამთავრობო ორგანიზაცია „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ მიერ დამუშავებული პოლიტიკის დოკუმენტი, სათაურით: „კრემლის საინფორმაციო ომი საქართველოს წინააღმდეგ: პროპაგანდასთან

ბრძოლის სახელმწიფო პოლიტიკის აუცილებლობა“.

ამ დოკუმენტში განხილულია რუსეთის მიერ განხორციელებული ზეწოლის ბერკეტები სხვადასხვა მათთვის საინტერესო ქვეყანაზე. რუსეთი ცდილობს აწარმოოს მისთვის ხელსაყრელი პროპაგანდა და საინფორმაციო ომი. ჰიბრიდული ომის წარმოებისათვის ის იყენებს არა მხოლოდ სამხედრო, არამედ ეკონომიკურ, ფინანსურ საინფორმაციო ბერკეტებს.

მთლიანობაში ზემოთხსენებული მასალების გამოყენებით ჩვენ მოვახერხეთ იმის დასაბუთება, რომ ანტიდასავლური განწყობების უპირველესი განმაპირობებელი ფაქტორი პრორუსული პროპაგანდაა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ანტიდასავლური პროპაგანდა - მედია მონიტორინგის ანგარიში, 2016-2017 წ.წ. მედიის განვითარების ფონდი: მოპოვებული 20.05.2019 mdfgeorgia.ge/uploads/library/65/file/Antidasavluri_geo_veb_(1)_bdf;
2. ანტიდასავლური პროპაგანდა - მედია მონიტორინგის ანგარიში. 2017 წ. მედიის განვითარების ფონდი: 2018 წ. მოპოვებული 22.05.2019 mdfgeorgia.ge/uploads/library/89/file/anti-dasavluri-propaganda-2017-geo.pdf;
3. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი „კრემლის საინფორმაციო ომი საქართველოს წინააღმდეგ: პროპაგანდასთან ბრძოლის სახელმწიფო პოლიტიკის აუცილებლობა“ - პოლიტიკის დოკუმენტი: 22 აგვისტო, 2016 წ.
4. გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ 2016 წ. #2 გვ. 10, სტატია „ევროკავშირი“ თუ „ევრაზიული კავშირი“, ავტორი გიორგი კორძაძე, მოპოვებული: 08.07.2019. geworld.ge/new/pdf-file-330.pdf;
5. გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“. 3-9 თებერვალი „ჩინეთი ამერიკას სანქციებით ემუქრება“ 2016. #4, გვ. 18. მოპოვებულია 03.07.2019 geworld.ge/new/pdf/pdf-file-332.pdf;
6. გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“. 16-22 მარტი, სტატია: ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გასაღები და ოკეანის გაღმიდან დაფინანსებული ხოსტები“. ავტორი დავით მხეიძე. 2016 წ. #10, გვ. 4. მოპოვებულია 07.09.2019, geworld.ge/new/pdf/pdf-file-338.pdf;
7. გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“. 8-14 ივნისი 2016წ. #21, გვ. 9, სტატია: „სანამ სოხუმ-ცხინვალის თემაც არ დახურულა“, ავტორი: დავით მხეიძე, მოპოვებულია 20.06.2019. geworld.ge/new/pdf/pdf-file-349.dpf;
8. გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“. 20-26 ივნისი 2016წ. #27. სტატია: „ევროპა მძიმედ არის ავად“ გვ. 20, მოპოვებულია 26.06.2019,

geworld.ge/new/pdf/pdf-file-355.pdf;

9. გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“. 25-31 იანვარი 2017 წ. #3. სტატია: „რომელ ნოტაზე ღნავიხართ, სოროსუნეებო“ ავტორი დავით მხეიძე. გვ. 9 მოპოვებულია 07.07.2019 წ. geworld.ge/new/pdf/pdf-file-378.pdf;
10. გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“. 15-21 მარტი 2017 წ. #10. სტატია „აშშ „დემოკრატიის ციტადელი“ თუ ყველაზე დიდი საფრთხე მშვიდობისთვის“ ავტორი ნია კორინთეი, გვ. 10. მოპოვებულია 21.06.2019, geworld.ge/new/pdf/pdf-file-385.pdf;
11. გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“. 29 მარტი 4 აპრილი 2017 წ. #12, სტატია: „ლონდონის თავზე ჯიჰადის დროშა ფრიალებს“ ავტორი ლუკა ნემსაძე, მოპოვებულია 25.06.2019, geworld.ge/new/pdf/pdf-file-387.pdf;
12. გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“. 5-11 აპრილი, 2017 წ. #13, სტატია „გვინდა თუ არა ნატო და ევროკავშირი?“ ავტორი ცისანა ფორცხვერაშვილი, მოპოვებულია 05.05.2019 წ. geworld.ge/new/pdf/geworld-13-2017.pdf;
13. გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“. 7-13 თებერვალი 2018 წ. #4, სტატია „ხელისუფლებების დაპირება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე ფარსი იყო თუ აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის გარეშე ნატოში შესვლაზე აზრის ჩანერგვას ემსახურებოდა“ ავტორი გიორგი გაჩეჩილაძე, გვ. 5, მოპოვებულია 11.07.2019. geworld.ge/new/pdf/geworld-04-2018.pdf;
14. გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“. 14-20 მარტი, 2018 წ. სტატია „მაკულატურა, რომელიც სულ უფრო გვაშორებს სოხუმსა და ცხინვალს“ ავტორი დავით მხეიძე, გვ. 6, მოპოვებულია 20.06.2018 geworld.ge/new/pdf/geworld-09-2018.pdf;
15. გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“. 30 მაისი- 5 ივნისი, 2018 წ. #19, სტატია „სნქტ-პეტერბურგის ფორუმი: რუსეთის იზოლაცია მითია“, ავტორი ლუდა ნემსაძე, გვ. 4, მოპოვებულია 25.06.2019, geworld.ge/new/pdf/geworld-09-

2018.pdf;

16. გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“. 22-28 მაისი, 2019 წ. #18, სტატია „რატომ არის ევროკავშირის დაშლა გარდაუვალი“ მოამზადა larex.ru-ზე დაყრდნობით გიორგი გაჩეჩილაძემ, გვ. 4. მოპოვებულია 30.05.2019 წ. geworld.ge/new/pdf/geworld-18-2018.pdf;
17. გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“. 13-29 მარტი, #09, გვ. 10, სტატია „ევროპის დაისი - 5 მიზეზი რატომ არის ევროკავშირის დაშლა გარდაუვალი“ ავტორი რუსუდან ხუბიევი, მოპოვებულია 11.06.2019. geworld.ge/new/pdf/geworld-09-2018.pdf;

IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY

Badri Bibilashvili

Anti-Western attitudes in Georgia (2016-2019)

Policy Science
The work is done to gain Master's degree in policy sciences.

The head of the work:
Malkhaz Matsaberidze
Doctor of Policy Sciences Full professor

Tbilisi

2019